№ 124 **სახალხო გაზეთი** № 124

ოთხშაბათი, 6 ოქტომბერი, 1910 წ. ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა. წელიწ. პირველი

ამ წლის 7 მაისიდან გამოდის

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

**სახალხო გაზეთი**

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექნება კვირეული

**სურათებიანი დამატება**

**გაზეთის ფასი დამატებითა:** წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური**

**დამატებით ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.**

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, ამის შემდეგ მეტი ეღირება.

****** ხელის-მომწერთა საყურადღებოდ ******

კანტორა აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე ხელისმომწერმა უნდა აცნობოს ხოლმე, რათა ყურადღება მიაქციოს გაზეთის წესიერად მიღებას.

„სახალხო გაზეთის" კანტორა ღიაა ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და სამუშაო დღეებს 5 საათიდან 7 საათამდე.

წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ, Большая Ванкская ул., № 12, Семену Пащалищвили.

ქვრივი პელაგია ნიკოლოზის ასული აბაშიძისა, დარია ივანეს ასული ქავთარაძისა, ნინა ივანეს ასული გამყრელიძისა, მაკრინე ივანეს ასული აბაშიძისა, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებას: პირველი—საყვარელის მეუღლის, ხოლო დანარჩენნი—ძვირფასის მამის

## ივანე ნიკოლოზის ძის აბაშიძისას

ს. ჰალაში, შორაპნის მაზრაში. დაკრძალვა ქალის წმიდის გიორგის ეკკლესიის გალავანში რვა ოქტომბერს, 1910 წელსა, დილის ათ საათზე. (1—120—1)

ბაგრატ ნიკოლოზის ძე ქავთარაძე, ბესან როსტომის ძე გამყრელიძე, მიხეილ გიორგის ძე აბაშიძე, ვიქტორ ბაგრატის ძე და სოფიო ალექსანდრეს ასული ქავთარაძეები აუწყებენ ნაცნობთა და ნათესავთ გარდაცვალებას პირველი სამნი—ძვირფასის სიმამრის, ხოლო უკანასკნელნი—საყვარლის პაპის

## ივანე ნიკოლოზის ძის აბაშიძისას,

გამოსვენება 8 ოქტომბერს შორაპნის მაზრის ს. ჰალის წმ. გიორგის ეკკლესიაზე. (1—121—1)

ტელეფონი № 862. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 6.

ხუთშაბათს, 7 ოქტომბერს, 1910 წელს,

ქართულ დრამატიულ საზოგად.-ასის მიერ წარმოდგენილი იქნება

**ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით**

**ი. გორდინისა თარგ. ვ. შალიკაშვილისა.**

## „სატანა"

დრამა 5 მოქმედებად, და 6 სურათად.

**ახალი დეკორაციები პროლოგში დახატული ა. ნოვაკის მიერ.**

მონაწილეობენ ქ-ნნი: დაკითაშვილი ნ., ვიქტორელი მ., ლექავა ო., ლოლუა ა., პიერრეტა ა., ქილარჯიშვილი მ., მუთაძე ა., ჯავახიშვილი ნ. ბ-ნნი. ალექსი-მესხიშვილი, გუნია ვ., გვარამძე ნ., ივანიძე ი., ყიფიძე ი., წარედალიშვილი ი., მდივანი ბ., მატარაძე ვ., მამფორია ი. შალიკაშვილი ვ.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

**ადმინისტრაცია** ქართ. დრამ. საზოგადოება. **რეჟისორი ვ. ალექსი-მესხიშვილი.**

**ადგილების ფასი:** გალერეა 20—40 კ.-მდე, პარტერი 50 კ.—3 მ., ლოჟები 5 მ.—10 მ. კუპონები ლოჟებში მეგირდეებისთვის 50 კ.

**დამსწრეთა საყურადღებოდ:** თეატრის ადმინისტრაცია ამით ყველას აუწყებს, რომ მოქმედების დაწყების შემდეგ სათეატრო დარბაზში არავის არ შეუშვებს, ამიტომ მესამე ზარის შემდეგ ყველანი თავ-თავის ადგილზე უნდა ისხდნენ.

მზადდება წარმოსადგენად: „გამხმარი ფოთოლი", ნ. შიუკაშვილისა. «ორი ვნება», ბატაილისა; „ქალის ჰკუა".

## ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოვებულია და სტაციონარული განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით. განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის" სასტუმროსთან. ტელეფონი № 590.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება, დღეც და ღამეც.

საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

**ლამბაშიძე ვ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყოვ. დღე; გარდა კვირისა 11—12 საათ.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 საათ.

**კარშინი ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

**მაღალაშვილი ვ. გ.** შინ., სამშ. და ს.ბ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი გ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და პარას. 1—2 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.**—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 12—2 ნახ. ს.

**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

**ფირალოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

**პაპოვი ვ. ა.** ქურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე 2—2-ნახ. ს.

**ხობოლევსკი გ. გ.** ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი. რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შილოაღათ სათასოოით. (200—6—291)

**ექიმი ი. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავად. მყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. (0—228)

**ექიმი შ. ა. მიქელაძე** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველდღე საღამოს $5^1/_2$—$6^1/_2$ საათამდის. გაზეთის ქ ტელეფონი N 816.

**ექიმი რ. დ. მაჭავარიანი** იღებს ავადმყოფთ ყოველ დღე დილით 8—11 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე. ბაკინოვის ქუჩა N 7. (თ.—180—3)

**კბილისა ექიმი ალ. სოლოლაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

## პროვინციაში გაზეთების გამგზავნ ბიურო

რომელსაც შეადგენენ გაზეთები: „სახალხო გაზეთი", „საქმე", „ზაკავკაზია", „ნოვაია რეჩი" და ჟურნალები „მათრახი და სალამური", „ერი" და „თეატრი და ცხოვრება", ჰყავს შემდეგი აგენტები:

| | |
|---|---|
| გორში—მ. არჩვაძე. | ფოთში—ს. ორაგველიძე. |
| მიხაილოვში—ს. ბატმანოვი. | ბათუმში—გ. მახარაძე. |
| ყვირილაში—ი. გაჩეჩილაძე. | თელავში—ონიკაშვილი. |
| ჭიათურაში—ებანოიძე. | სიღნაღში—ხატიევი. |
| ქუთაისში—ივ. კვიცარიძე. | ბაქოში—ნ. აბაშიძე. |
| სამტრედიაში—ი. ურუშაძე. | სოხუმში—ნ. ჯანანია და |
| ლანჩხუთში—მატიტაშვილი. | ერევანში—ა. მესანოვი. |

## საჭიროა აგენტი

ელისავეტპოლში (განჯა), და ყარსში, ალექსანდროპოლში, ჩოხატაურში, ნოვოროსიისკში, ეკატერინოდარში, ნუხაში, შემახაში, ვლადიკავკავში, არმავირში, დონ.-როსტოვში, ჯულფაში და დარუბანდში!

აგენტობის მსურველებმა ენდა მიმართონ ბიუროს გამგეს ერასტი დავითის ძეს გორდელაძეს ამ ადრესით: **Тифлисъ, Эриванская площадь д. Гургенова, общій входъ съ нотаріусомъ Мгебровымъ. Эрастію Давидовичу Горделадзе.**

## რ. ა. პორტუგალოვისა

ჩამოიტანა და მოიტანა ვარშავიდან, ოდესიდან და პეტერბურგიდან

## დიდ მალი

◀ **ქალებისა და ბავშვების ზედა ტანისამოსი და კოსტიუმები,** ▶

იუბკები, ზედა და ქვედა და ხალათები

გაცების ააურებელი პალტოები, კოსტიუმები, წვიმის დროს სატარებელი პალტოები და წამოსასხამები, საზღვაო წამოსასხამები და აგრეთვე ბავშვების პალტო და კოსტიუმები. რადგანაც ყველა ზემოხსენებული საქონელი გადმოცემული მაქვს საკომისიოდ, ამიტომ იაფად იყიდება, ვიდრე სხვა მაღაზიებში.

ვინც ჩემგან იყიდის, მალიან კმაყოფილი დარჩება. მაღაზია მოთავსებულია ნიკოლოზის ზიდზე «ფაბრიჩნი მაღაზიის» ფირმის ქვეშ. N N 24—25. (50—57—)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოკზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

8 **ვაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**შ. ა. მიქელაძე**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. $1^1/_2$—$2^1/_2$ ს.

**ს. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ა. ბობრიკი—ყელ., ყურ., ცხვირის და ყოველ დღე 12—1 ს.

**ტერ-ნიკოღოსოვი დ. გ.**—შინაგ. და ბავშვ. ოთხშაბათობით და კვირობ. $11^1/_2$—$12^1/_2$ საათ.

**ი. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ. 454)

**ოქტომბ. 15 რიცხვამდე გამოვა**



გამოცემა **მიხეილ ნემსაძისა**

ფასი 10 კაპეიკი.

**ადრესი:** ტფილისი, ქართველთა ამხანაგობის სტამბა.

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—4 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4. სახლი გაბაშვილისა (უ)

**ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო მიხეილ გედევანიშვილისა**

იღებს ავადმყოფებს კვირის გარდა დილით 12—1; საღ. 6—7 საათ. გამინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. 20 (0—6.—57)

**ექიმი ბ. ნ. მაგაკიანი** შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. სპეციალურად კუჭისა და ნაწლავებისა. მიიღება დილის 10—11 საათ. (ბავშვთა) საღამოს 5—7 საათი (საზოგადო). მიხეილის პროსპექტი, № 36, ტელეფონი N 388. (100—ზალ.—44)

**კბილისა ექიმი ნინო რცხილაძე** იღებს ავადმყოფთ დილით 10 ს.—2 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე. იზმაილოვის ქუჩა N 2. **გადავიდა**

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება $9^1/_2$-დან 5 ს.-დე.

**ხარაძე**—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.

**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.

**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4-5 ს.

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარს., კვირა 11—12 საათ.

**ბოგოსვსკი**—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

**მონსე**—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა $1^1/_2$—3 საათ.

**გნუკოვი**—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.

**ნოვიცკი**—ქალებ., ყოველ დღე 1—2 ს.

**ვესელოვზოროვი ნ. ნ.** ქირურგ. ავად. ყოვ. დღ. 2—3 საათ,

**ხატისოვი ნ. დ.**—ბებ., ქალ., ყოველდღე, კვირისა და სამშაბათს გარდა 4—5 ს.

**მიკირტუმოვი** დილის $10^1/_2$—$11^1/_2$ ს, ყოველ-დღე.

**ჩუდნოვსკი ი,** ნერვ. სულ. ელექტროტერაპია. ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა 4—5 საათ.

**ფონდოევი**—ნერვ. და ელექტროტერ. ყოვ.-დღე 11—12ს. დილ.

**ი. მ. ახპისოვი.** ცხვირ., ყელ. და ყურისა. 1—2 საათამდე.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათამანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის წრატით. (100—6.—2)

## ტფილისი, 6 ოქტომბერი

**ისევ ქართულ სამეურნეო საზოგადოებაზე**

სამეურნეო ჟურნალი „მოსავალი" უკანასკნელ ნომერში არკვევს საინტერესო საკითხს, რამდენად საჭიროა ქართველთა შორის სამეურნეო საზოგადოება, და სხვათა შორის პრინციპიალურად იმ აზრს გამოსთქვამს, რომ შეუწყნარებელია ეროვნული შედგენილობა კულტურულ საზოგადოების საორგანიზაციო პრინციპად იქმნას ცნობილი. ბ-ნი ე. იოსელიანი, რომელსაც ეკუთვნის ეს აზრი, ფიქრობს, რომ ეროვნულ შედგენილობის პრინციპი კულტურულ წარმატებას კი არა, მხოლოდ კულტურისთვის მავნებელ ეროვნულ განცალკევებას გამოიწვევს. გარდა ამისა, ბ-ნ იოსელიანის აზრით, ეს ეროვნული გამოცალკევება საერთოდ ჩვენ ცხოვრებაში უსიამოვნო დისსონანსი იქნება, რადგან სხვაფრივ საქართველოში მოსახლე ყველა ერები გაერთიანებული არიან; მაგალითისთვის ავტორი ასახელებს სათავად-აზნაურო დაწესებულებებს, სადაც ერთნაირი ხმა აქვს ყველა ერის თავადსა და აზნაურს.

ჩვენის ფიქრით, ამ პრინციპიალურ საკითხს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს და იმისი ისე მარტოკად გადაჭრა, როგორც ბ-ნ იოსელიანს უნდა, შეუძლებელია. გამოცალკევებას, ისე როგორც გაერთიანებას, თავისი საზომი აქვს. ზოგჯერ გაერთიანებაა საჭირო კულტურულ დაწინაურებისთვის და ზოგჯერ განცალკევება. ავიღოთ მაგალითისთვის ჩრდილოეთის და სამხრეთის ქვეყნები; ბუნებრივი სხვა და სხვაობა აუცილებლად ჰხდის სხვა და სხვა სასოფლო სამეურნეო კულტურას და იმათი შეერთება საერთო სამეურნეო საზოგადოებისთვის სასარგებლო კი არა, საზიანო იქნება ორივესთვის. ეს მაგალითი იმიტომ მოგვყავს, რომ ბ-ნი იოსელიანივით ბევრსა ჰგონია, ვითომც თავისთავად შეერთება სიკეთე იყოს, ხოლო განცალკევება კი ბოროტება. მზისა და მთვარის ქვეშ აბსოლუტური არაფერი არ არის; არც შეერთების პრინციპია აბსოლუტური ღირებულება.

შეერთების და განცალკევების საკითხი ყოველთვის იმ მიზნისა და საშუალების მიხედვით უნდა განიხილებოდეს, რომელსაც საზოგადოებრივი ორგანიზაციის შეეხება. სქემატიურად საზოგადოებანი შეიძლება გაიყოს ორ ჯგუფად: პირველ ჯგუფს ისეთი საზოგადოებანი შეადგენენ, რომლის წევრებათაც მხოლოდ ისინი მიიღებიან, ვისაც განსაზღვრული პირადი თვისებები აქვს; ეს პერსონალური საზოგადოებაა: ასეთია მაგალითად სარწმუნოებრივი კავშირი; მეორე ჯგუფს ისეთი საზოგადოებანი შეადგენენ, რომელნიც განსაზღვრულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხის საერთო ინტერესებს ემსახურებიან; ამ ტერიტორიალურ საზოგადოების წევრებად შეუძლიან იყვნენ ყველანი, ვინც კი განსაზღვრულ ტერიტორიაზე სცხოვრებს. პერსონალურ საზოგადოებას თავისუფალ ორგანიზაციის ხასიათი აქვს, ტერიტორიალურ საზოგადოებას იძულებითის ორგანიზაციისა. ეს განსხვავება სქემატიური და ზოგჯერ ნათლად არა სჩანს ნამდვილად არსებულ საზოგადოებრივ დაწესებულებებში, მაგრამ თუ ყურადღებით დავაკვირდით, თითქმის ყოველთვის შეიძლება ამ სხვადასხვაობის ნიშნები ვიპოვოთ.

პერსონალური საზოგადოება, როგორც თავისუფალი ორგანიზაცია, შედგენილობის მხრივ შეიძლება ეროვნულიც იყოს და უეროვნოც. მაგ., პირუტყვთა მფარველი საზოგადოება არასოდეს ანგარიშს არ გაუწევს თავის წევრების ეროვნულ მოდგმას, ეს ამ საზოგადოებისთვის არავითარ ინტერესს არ წარმოადგენს. პირ-იქით, პირველ დაწყებით განათლების საზოგადოება უცილებლად ეროვნული იქნება, რადგან თვით მიზანი ამ გვარ საზოგადოებისა მხოლოდ ნაციონალურ ფორმებში შეიძლება განხორციელდეს. ტერიტორიალური საზოგადოება კი ყოველთვის იმ სახელმწიფოს ნაციონალურ ელფერს ატარებს, სადაც იგი არსდება. მიზანი ამ გვარ ტერიტორიულ საზოგადოებისა ჩვეულებრივ სჩრდილავს მის შემადგენელ ელემენტების ეროვნულ სხვა და სხვაობას. და ამიტომ მოქმედების ფორმად სახელმწიფო ნაციონალობა ჰხდება. ყველა ეგრედ წოდებული კავკასიური საზოგადოება აუცილებლივ მხოლოდ რუსულ ენას ხმარობს. ეს არც საკვირველია: საზოგადოებაში მსჯელობა ყველასათვის გასაგებ ენაზე უნდა ჰხდებოდეს, ხოლო რადგან არც ერთი ასეთი ენა არ არსებობს, ამიტომ უპირატესობა ეძლევა სახელმწიფო ენას, რომლის ხმარებასაც იძულებითი ელფერი აქვს. ამ გარემოებაში გამოიხატება ზემოდ ნაჩვენები მიდრეკილება ტერიტორიალურ ორგანიზაციებისა სახელმწიფოებრივ იძულებისკენ.

სასოფლო მეურნეობის განვითარება ჯოველის უწინარეს ტერიტორიალური საქმეა. ამ მიზნით დაარსებული საზოგადოება უნდა ემსახურებოდეს განსაზღვრულ ტერიტორიის მცხოვრებლებს ეროვნების განურჩევლად. ეს უეჭველია. მაგრამ ამ საზოგადოებას აუცილებლად ესაჭიროება ხალხში ცოდნის გასავრცელებლად და მასთან დასაახლოვებლად ერთი რომელიმე ენა იხმაროს. თუ საზოგადოებამ თავიდანვე არ განსაზღვრა თავის ეროვნული ხასიათი, შემდეგ იგი აუცილებლივ იძულებული იქნება სახელმწიფო ენა გაიხადოს თავის ენად, ეს კი მას კავკასიაში თვით ხალხისაგან დააშორებს. ამ გვარად, საჭიროდ ჰხდება სასოფლო მეურნეობის წარმატებისთვის დაარსებულმა საზოგადოებამ შერეული ფორმა მიიღოს და ტერიტორიულ მიზანთან შეწონილ მოქმედებას წინადვე განუმზადოს ნაციონალური ფორმა მოქმედებისა. ასეთი შერეული საზოგადოება, რა თქმა უნდა, არა გულისხმობს საზოგადოების ორგანიზაციას მოდგმის მიხედვით, სრულიადაც არა. ასეთ საზოგადოებაში ყველა ერის შვილი მიიღება, მაგრამ დროის პირობით კი: საზოგადოების მოქმედებას აუცილებლივ წინასწარ განსაზღვრული ნაციონალური ფორმა უნდა შერჩეს ყოველთვის. ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოებამ თამამად მიიღებდა წევრებად სკრელი ავსარქისოვიც, ტყაველი ანანოვიც, ბორჩალოელი სულთანოვიც, თელაველი ბადდოევიც და სხვა. ის გარემოება, რომ ესენი წარმოშობით ქართველები არ არიან, არაფერს არ დააშავებს, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წინასწარ იქმნა ხელშეკრულება დადებული, რომ არავინ არ მოითხოვს საზოგადოების მოქმედებას არა ქართულ ეროვნულ ფორმებში. ამ ხელშეკრულებას კი წარმოადგენს თვით წესდება.

ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების მაგალითი ამტკიცებს, რომ ზოგჯერ ვერც წმინდა პერსონალური და ვერც წმინდა ტერიტორიალური საზოგადოება ვერ დააკმაყოფილებს ადგილობრივ მკვიდრთა მომწიფებულ საჭიროებებს და საჭიროა შერეულ საორგანიზაციო ფორმებს მივმართოთ. ეს არც ნაციონალური კარჩაკეტილობაა, არც ძალთა დაქუცმაცება, ეს მხოლოდ ცხოვრების სპეციალურ პირობებთან საზოგადოებრივ ორგანიზაციათა შეგუებაა.

# რევოლუცია პორტუგალიაში

(დეპეშებიდან)

**ლონდონი.** ინგლისის მეფე-დედოფალს აზრადა აქვთ შაბათს ვუნდსორტონში ინახულონ მეფე მანუელი და დედოფალი ამალია.

**მადრიდი.** პორტუგალიის რესპუბლიკანელებმა მანიფესტაცია გამართეს და სატახტო ქალაქის ქუჩებზე გაიარეს. რესპუბლიკანელთა დეპუტატმა სიტყვა წარმოსთქვა და მოქალაქეთ ურჩია პორტუგალელებს მიებაძეთო. მანიფესტანტები წყნარად დაიშალნენ.

**ლისსაბონი.** ხვალ გამოაცხადებენ დეკრეტს ერების პალატისა. სახელმწიფო საბჭოისა სათავად-აზნაურო სარისხების გაუქმებისა ბრაგანცის სამეფო გვარეულობას განდევნის შესახებ. ამავე დეკრეტის ძალით ყველა საქველმოქმედო დაწესებულებანი გადაეცემა საერო მთავრობათ.

**გიბრალტარი.** მარია პია და ჰერცოგი ოპორტოსა იტალიის გემით სპეციისკენ გაემართნენ; შემდეგ მეფე მანუელი და დედოფალი ამალია გემით „ვიქტორია და ალბერტი" ინგლისს წავიდნენ:

—

ამ ბოლო დროს პორტუგალიის შესახებ დეპეშები ნაკლებ ცნობას იძლევიან. გაზეთებიც ნაკლებად სწერენ. მაგრამ აქა იქ მაინც შეხვდებით მოკლე ცნობებს.

ინგლისელი გაზეთი „ტაიმსი" ამბობს, რომ პორტუგალიას ახალი მთავრობის ხელნი უფრო წმინდა და მართალი იქნებიან, ვიდრე გაძევებულის მთავრობისა.

„პორტუგალელები დიდი თავისუფლების მოყვარე ხალხია, მაგრამ უკანასკნელ დრომდე მოთმინებით იტანდნენ უოგვლებად შევიწროებას, უთვალავ უსამართლო მოპყრობას, ხოლო როცა მოთმინების ფიალა აევსოთ, ძალიან კარგად ჰქმნეს, რომ მთელი ქვეყნის მოწინავე შვილები შეერთდნენ და აუტანელ მდგომარეობას ბოლო მოუღესო." სწერს გაზეთი „დეილი ტელეგრაფი" ის გაზეთი რომელიც მონარქიული გრძნობებით უფრო გამსჭვალული.

რაც შეეხება ინგლისის ლიბერალურ გაზეთებს, ესენი ხომ წინ-და-წინვე მოელოდნენ (და ნატრობდნენ კიდეც) პორტუგალიის ძველი მთავრობის ბოლოს. ამათ წინადვე კარგად იცოდნენ, რომ პორტუგალიის მონარქია დაღმა, გათახსირდა, კარგად იცოდნენ, რომ პორტუგალიის ადმინისტრაციის ანგარებას საზღვარი არ ჰქონდა და მაშასადამე, ამ მონარქიასა და მის წეს წყობილების გადაბრუნება არავითარ სიბრალულსაც არ გამოიწვევდა ინგლისის ლიბერალურ გაზეთებისას.

„პორტუგალია ნიჭებული, მშვენიერი კუთხეა დედა-მიწისა—სწერენ ეს გაზეთები —მაგრამ მაინც გაღარიბებული იყო. ხალხი ათასობით სტოვებდა თავის ტურფა სამშობლოსა და მიდიოდა ამერიკას. ველ-მინდორი დაუმუშავებელი რჩებოდა. მეფე და მის კარის-კაცნი ყელთამდე ვალში იდრჩობოდნენ და თავის ქვენა გრძნობათა დასაკმაყოფილებლად უშველებელ სარგებლის გადებით საფრანგეთიდან ვალს იღებდნენ, ხოლო როცა საფრანგეთმაც უარი უთხრა, მზად იყვნენ ახალშენები საჯარო გაყიდვით გაეყიდნათ. პორტუგალიის მშვენიერი ახალშენები—აზიასა და აფრიკაში—აქამდე გაფანტული და გაუყიდველ ექმნებოდა პორტუგალიის მეფესა და მის ყურმოჭრილ, წუწკ ადმინისტრაციას. ინგლისსა და გერმანიას შორის მეტოქეობა რომ არ ჩამოვარდნილიყო და ამ ორ დიდ სახელმწიფოს ერთმანეთისათვის ხელი არ შეეშალათ პორტუგალიის ახალშენების გაყიდვის საქმეში, ჯერ ისევ ინგლისის ბურების ომის დაწყებამდე, ინგლისი მზად იყო ეყიდნა დორენცო-მარკეცას ახალშენი აფრიკაში, თავის შეღობებლობათა ამ ქვეყანაში „კასაერთაანებლად", მაგრამ ამ დროს გერმანიამაც მოინდომა აზორისა და მაიდერის ქვა-ნახშირის საწყობების ხელში ჩაგდება, და რადგანაც ეს ინგლისს არ ჰსურდა, ორივე ახალშენები პორტუგალიას გაუყიდავი დარჩა. რასა საკვირველია, რომ ქვეყნის ასე უნიჭო და უხეირო მმართველთა დაღუპვა არავის გულს არ ატკენდა. საკვირველი მხოლოდ ის არის, რომ ამ პაწია და დაჩაგრულმა ქვეყანამ ასე ადვილად როგორ მოახერხა სახელმწიფოს წეს-წყობილების გამოცვლა". დასძენენ ინგლისის ლიბერალური გაზეთები.

# დეპეშები

პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან

5 ოქტომბერი.

**საზღვარ-გარედ**

**პარიზი.** გუშინ გაფიცულთა კომიტეტს აზრადა ჰქონდა ბუა დე-ვანსენთან მანიფესტაცია მოეხდინა, მაგრამ ეს აზრი უარ-ჰყო და შრომის ბირჟასთან მიტინგი დანიშნა. ოფიციალურად იუწყებიან, რომ ჩრდილო და დასავლეთ რკინის გზების დიდ-ლიანდაგებზე სამსახური უზრუნველყოფილია, ქალაქის გზებზე კი სამსახური. შედარებით უკეთესად სწარმოებსო.

**ბრიუსელი.** დილის 6 საათსა და 20 წუთზე ლეგანიე უკანვე, პარიზში, გაფრინდა.

**ახალი ორლეანი.** მანაგუაში კვლავ არეულობა დაიწყო. მდგომარეობა უკიდურესია.

**სტამბოლი.** რადგანაც მონასტერში ასაფეთქებელ ნივთიერებათა საწყობი აღმოაჩინეს, რკინის გზებს ჯარისკაცები იცავენ.

ერთი კვირის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა 15 კაცი, მოკვდა 7.

**ლონდონი.** რადგანაც სამხრეთ სპარსეთში არეულობა დაიწყო, ინგლისის მთავრობამ სპარსეთისას გაუგზავნა ნოტა. ამ ნოტაში „ტაიმსის" სიტყვით, ნაჩვენებია ის ზომები, რომელთაც მიმართავს ინგლისი, თუ ინგლისისათვის არა სასიამოვნო გარემოება დამყარდება. ეს ზომები დამამტკიცებელია იმისი, რომ ამიერიდან ბოლო ეღება სპარსეთის საქმეებში გარეშე სახელმწიფოთა ჩაურევლობის პოლიტიკას.

**ბელგრადი.** მემკვიდრე ბატონიშვილის ჯანმრთელობა უარესდება.

**ვენა.** დელეგაციათა კომისიაში კრამარჟმა მოიხსენია ფრიდიუნგის პროცესი და გარეშე საქმეთა სამინისტროს ქარაფშუტობა უსაყვედურა. ერენტალმა უპასუხა, რომ ფრიდიუნგის პროცესში ნახსენები ავსტრო-უნგრეთისა და სერბიის გამწვავებულ განწყობილება ჰქონდათ და ვშიშობდით დიდმნიშვნელოვანი გარდაწყვეტილება მიგვეღო; ფრიდიუნგის საქმეში ერია ისეთი დოკუმენტებიც, რომლის გამოყენება, ვფიქრობდით, თავისუფლად შეიძლებოდა რადგან არ ეწინააღმდეგებოდა სერბიულ პრესის ცნობებსა და სერბიის მთავრობის განცხადებას. გერმანელს შეუძლიან გადაჭრით განაცხადოს, რომ ფრიდიუნგის პროცესში გამოსარკვევი საგნები არ შეეხებოდა მთავრობის გარდაწყვეტილებას ანნექსიის შესახებ: ეს გარდაწყვეტილება საბოლოოდ მიღებული იყო ოსმალეთში კონსტიტუციის დაარსებისა და აგრეთვე არსებულ მოძრაობისა გამო, რასაც მიზნად ჰქონდა ბოსნიის ჩამოშორება მონარქიისაგან; ამ მოძრაობას ხელს უწყობდნენ საზღვარგარედაც. აქედან წარმოსდგება აუცილებლობა ბოსნიის კანონიერ მდგომარეობის მოწესრიგებისა; ახლა ამ მოვლენათა რეტროსპექტიულ დაფასების დროს აღნიშნულს მოტივებს თავისი ძალა არ ეკარგება.

**პარიზი.** ღამის პირველ საათსა და 25 წამზე ქალაქის საბჭოს წევრის მასარის სადგომის წინ ყუმბარამ იფეთქა. პერიერის ბულვარს შესამჩნევი ზიანი მიაყენა. მსხვერპლი არ ყოფილა.

**ისპაჰანი.** ქალაქი კაშანი ისევ გარშემორტყმულია. ორივე მხრით ბევრი მოკლული და დაჭრილია. გარშემორტყმულთა იარაღი მოუკლდათ. ქალაქს ბახტიარებისაგან განადგურება მოელის.

**მუკდენი.** სილიანის გენერალ-გუბერნატორი იაპონიის მთავარ ელჩის საპასუხოდ უარჰყოფს მოთხოვნილებას იაპონელთა დაჯილდოებისა და პრეფექტის გადაყენების შესახებ.

**პეკინი.** ჩინეთის სამხრეთის უდიდესმა ბანკმა იუანფინჟუნმა ფულის გაცემა შესწყვიტა. ამის გამო პეკინის ბევრმა ბანკმა აგრეთვე შესწყვიტა ფულის გაცემა, მათ შორის ერთ-ერთი სახელმწიფო ბანკი. პროვინციის დეპუტატებს ჩინეთის მდგომარეობას მეტად უიმედოდ სთვლიან: გარედან მას ემუქრება რუსეთ-იაპონიის შეთანხმება და კორეის ანნექსია, ხოლო შიგნით—სიღარიბე, სიბნელე, არეულობა; უკანასკნელს წლებში მიღებულმა კონსტიტუციურმა რეფორმებმა მხოლოდ ხმაურობა გამოიწვია; ყველა სახელმწიფო აშკარად იგდებს ჩინეთს და ეჭვით უყურებს მის აღორძინების საქმეს. ერთად ერთი გამოსასვლელი გზა ამ მდგომარეობიდან არის პარლამენტის მალე გახსნა.

**ბოსტონი.** ველმანისაგან დირიჟაბლ „ამერიკა"-დან, სადაც 6 კაცია, გუშინ მიღებულ იქმნა რადიოგრამა: „ჩვენი მდგომარეობა ვერაფერი ხელსაყრელია, მაინც ბრძოლას განვაგრძობთ". მეორე რადიოგრამაში სწერია: „ჩვენ შევაჩერეთ მატორი. მივდივართ ჩრდილოეთდასავლეთისაკენ. იქ ნისლია. კვლევა შეუძლებელია".

**პარიზი.** ჰ. ვასის სააგენტო უარჰყოფს გაზეთებში მოთავსებულ ცნობას, ვითომც ოქსერნში მომხდარ გაფიცვის დროს ორი აფიცერი უფროსის ბრძანებას არ დაემორჩილა. გაფიცვის კომიტეტმა აცნობა ტრიანს, რომ ხვალინდელ დემონსტრაციის წესიერებაში ბუადვენსენის მიდამოებში, თავდებად ჩვენა ვართო. კომიტეტი პირობას აძლევს, რომ პარიზში გავლის დროს არეულობას არ მოახდენენ. ამისდა მიუხედავად მთავრობამ მაინც აუკრძალა მანიფესტაციის მოხდენა. ბრიანის აზრით დემონსტრაციის მეთაურების განზრახვაა, რომ ამ მანიფესტაციის გამომწვევი ხასიათი მისცენ, რადგანაც იმედი აქვთ, რომ არეულობის მოუხდენლად, გაფიცვა არ დასრულდება. ყოველგვარი ზომებია მიღებული, რომ მანიფესტაცია არ მოხდეს. პოლიციას შეუტყვია ვითომც გაზ. „ლიბერტეს" რედაქციაში ყუმბარებით აღჭურვილი ხალხი დაიარება. ამის გამო გაჩხრიკეს რედაქცია, დაატუსაღეს რედაქტორი, გამგე და ერთი კაცი, რომელიც ცდილობდა მიემალა სამი საქვეო ბოხჩა.

**ბერლინი.** კრონპრინცმა და მისმა მეუღლემ, იოგინსტალში გამართულ ფრენის დროს, ბრილიანტის ქინძისთავით დაასაჩუქრეს მფრინავი ვინცირსი. რომელიც იოგანისტალიდან გროსს-ბეერენში გადაფრინდა და უკანვე დაბრუნდა. ვინცირსი 1500 ადლის სიმაღლეზე ავიდა.

**რ უ ს ე თ ი**

**პეტერბურგი.** მინისტრთა საბჭომ მოიწონა და საკანონმდებლო დაწესებულებათ უნდა წარუდგინოს მოსკოვის სამეურნეო ინსტიტუტის დებულება და მოსამსახურეთა შტატის სია.

**ნიჟნი ნოვგოროდი.** რომანოვების სამეფო გვარეულობის სამასი წლისა და გლეხთა განთავისუფლებიდან ორმოცდა ათი წლის შესრულებისა გამო, ქალაქის საბჭომ დაადგინა, იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე პოლიტეხნიკუმის დაარსების შესახებ და ამისათვის გადასდეს 550 ათასი მანათი ფულად და 5 ათასი საჟენი ქალაქის მიწა მიუზომოს.

**პეტერბურგი.** ტყუილია ის ხმები ვითომც ოდესის გრადონაჩალნიკი ტოლმაჩევი სამსახურს თავს ანებებდეს.

**კიევი.** გლეხთა განთავისუფლებიდან ორმოცდა ათი წლის შესრულებისა გამო საგუბერნიო საერობო კომიტეტმა გადასწყვიტა ქალაქის საერობო სკოლებთან დაარსოს 12 სახელოსნო განყოფილება განმათავისუფლებელ მეფის სახელობაზე.

**კიევი.** გლეხთა განთავისუფლებისა გამო ერობამ 250 ათასი მანეთი გადასდო. ამ ფულით მაზრაში უნდა დაარსდეს ორ-კლასიანი სკოლები განმათავისუფლებელ მეფის სახელობაზე.

**ნიკოლაევსკი** (სამარის გუბ.). საბჭომ გადასდო რომანოვთა გვარეულობის სამასის წლის შესრულების სახსოვრად პეტერბურგში ტაძრის ასაგებად 50 მანეთი.

**მოსკოვი.** პირველ სათათბიროს თავმჯდომარე მურომცევი უეცრად გარდაიცვალა.

**ოდესა.** გამოფენა დაიხურა. დაესწრო 700.000 კაცი. ამ გამოფენის მომწყობს საიმპერატორო ტეხნიკურ საზოგადოებას 80.000 მან. ზარალი მოუვიდა. გადასწყვიტეს გამოფენა მომავალ წლისათვის განახლონ.

**მოსკოვი,** უნივერსიტეტსა და მურომცევის სადგომში პანაშვიდები გადაიხადეს. ბევრი გვირგვინი მიიტანეს, მათ შორის ქალაქ მოსკოვის სახელითაც.

# ახალი ამბები

**ტ ფ ი ლ ი ს ი**

✦ **ნამესტნიკის ჩამოსვლა.** 4 ოქტომბერს ღამის 12 საათზე ჩქარის მატარებლით ტფილისში ჩამოვიდა რუსეთიდან კავკასიის ნამესტნიკი.

✦ **ნორმალური დასვენება.** როგორც ვწერდით, ტფ. ქალაქის საბჭოს მიერ გამოცემული სავალდებულო წესები ნორმალურ დასვენების შესახებ, კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ არ დაამტკიცა. 4 ოქტომბერს ქალაქის საბჭომ მსჯელობა იქონია ამის შესახებ და გადასწყვიტა, სენატში განასაჩივროს კავკასიის მთავრობის დადგენილება.

✦ **წ.-კითხვის საზოგადოებაში.** ამ დღეებში ჩამოვიდა ტფილისში ქართველთა შორის წერა-კითხვის

# უკუღმართობა

(მოთხრობა)

I

ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, პეტრე ბერიაშვილი განთავისუფლდა მონობიდამ. მიწა, წყალი, სახნავი სულ ბატონს დარჩა. ბატონმა მხოლოდ ის გულკეთილობა გამოიჩინა თავის ნაყმევზე, რომ პეტრეს ხელით გაშენებული ვენახი, ისევ პეტრეს მიაბარა სანახევროდ.

პეტრე დაბინავდა თავის მამა-პაპებისაგან შესყიდულ მიწურ დარბაზში. აქედგან თავისუფალი პეტრე შეუდგა დღიურ ლუკმის შოვნას. იმ იმედით, რომ ბატონის ვენახი სანახევროდ ჩაიგდო ხელში, პეტრემ შეირთო ცოლად თავისი ტოლი კაცის ქალი ქეთევანი, რომელიც გარჯილობაში ქმარს არ ჩამორჩებოდა. შვილები თითქმის ყოველ წლივ უჩნდებოდათ. ჯერ ისევ ახალგაზრდანი იყვნენ, რომ ქეთევანი მეთერთმეტედ იყო დასაწოლი. ვენახის მოსავლის ნახევარი და კერძო ნამუშავარი აღარა ჰყოფნიდა ოჯახს. ძველი დარბაზი მოვალეებმა გაუყიდეს. რომ ცარიელ არ დარჩენილიყვნენ, მეტი ღონე არ იყო, ბატონის ვენახში, ძველად აშენებულ, კედლებ გარღვეულ მარანში უნდა მოთავსებულიყვნენ. ერთი ნახევარი ამ მარნისა წლიდნ დახურულ საწნახელს ეჭირა, საიდანაც წვიმა და ქარი თავისუფლად ჩამოდიოდა. ბავშვები პატარაებივე ეხოცებოდათ. დანათვლასა და დამარხვას ვერ ასდიოდნენ. ბოლოს, როგორც იყო ორი ვაჟი წამოეზარდათ. უფროსი—გიორგი რვა წლისა ჰყავდათ, მიმდევნო—ნიკა ექვსი წლისა.

ბოლო წლებში მოსავლებმა შესამჩნევად იკლო. სოფლელები დალატაკდნენ. გადასახადეში ერთი ორად წაუმატეს. პეტრეს საბატონო ვენახიდან, არა თუ, წლის მოსავალი, ორი თვის სამყოფი საზრდოც არ მოსდიოდა. შემოდგომიდანვე თითქმის მშივრები იყვნენ. პეტრე სამუშაოს ველარსადა შოულობდა. საქმე ისე წავიდა, რომ ისევ ბატონისათვის უნდა მიემართნათ.

„კნიაზ" იასონმა (ასე ეძახდნენ ყველანი) პეტრეს შვილები სახლში მიაყვანინა. გიორგი ღორ-ხბოში გაამწესა—ნიკა ხელზე მოსამსახურედ. პეტრეს ოჯახს ორი მჭამელი მოაკლდა. სამაგიეროდ წლიწადში ორი თუმანი ფული მიემატა, რაც შეწრილ ხარჯებს ადვილად გაუსტუმრებდა.

II

ქეთევანი კიდევ დაწვა ლოგინზე. პეტრეს ოჯახს შეეძინა მესამე ვაჟი. ახალი წევრი ტირილით მიესალმა ყველას. მშობლებმა დათიკო დაარქვეს.

დათიკომ პირველადვე პირი გააღო. როცა გაიძლეს, დაჩუმდა. დაიძინა. გაიღვიძა. გამოფხიზლდა. თვალები გარშემო მიმოავლო. შუქს გაკვირვებული მიაჩერდა. დედას გულზე მიეკრა. თან და თან გამორკვევით უყურებდა: ადამიანების საქმიანობას, პირუტყვების მოძრაობას, ბუნების რისხვა-სიდინჯეს, წვიმას, მზეს, მთვარეს, ვარსკვლავებს. ყველას შიშითა და სიამოვნებით შეჰხაროდა. ნელ-ნელა შეეჩვია: ალერსს, ჯავრობას. თვალგადუწვდენელ დედამიწის სივრცეზე თავისი თავიც ერთ უმთავრეს სულიერ არსებად იგრძნო და პირველი ფიქრიდანვე დაწყებული ბოლომდე, უკეთესის მოლოდინში იყო. მისთვის სიცოცხლეს ყოველ დღე ფასი ემატებოდა. ერთის სიტყვით, ქვეყანა ბედნიერება ეგონა.

ოთხის წლისას დაახსოვდა ახალწელიწადი: მეკვლეს მიღება, სიყვარულით მიგებება, ტკბილეულობა. ამას მოჰყვა ყველიერი: საქანელა, ჩალიჩი, ბურთაობა, ბერიკაობა. პირას პატივი აგრერიგად არა ჩარჩენია რა გულში, რადგანაც ქადები იმათსა არ გამოცხვარა და ჭადი კი მათი ჩვეულებრივი საჭმელი იყო. ჰქონდათ თუ არა, აქეთ ეცემოდნენ, იქით ეცემოდნენ და სადაც იქნებოდა, იშოვნიდნენ. დათიკოც თამამობის შემდეგ მაშინვე კიდობანს მონახავდა ხოლმე.

დიდმარხვაში უკვე დააწყებინეს ვენახში წალამის აკრეფვა, ნაფოტების მოგროვება, წყლის მოტანა. მიშველა ფეხებზე ეკალი მალიმალ უჩხვლეტდა ხოლმე, მაგრამ, მაინც მამას ხალისიანად ესაქმებოდა. გაზაფხულის ჰაერზედ გამომზეურება და ყველას საერთო ზრუნვა ხშირად თავისთავად იტყუებდა და ცეცხლსაც უიხოვნელად ეხმარებოდა მხალისა და მგზნარა ჰინჰარის კრეფვაში.

—დამსუსხა, დედა, ჭინჭარმა დამსუსხა!..—მიუშვერდა ხოლმე დედას წამდაუწუმ ხელსა, როცა ჭინჭარი უკბენდა.

—არა გიშავს-რა, შვილო, აი, დანის პირს, ან ღუთოს წაგისვებ და მორჩება...—ეტყოდა ხოლმე დედაც. თან სიპ ქვას ეძებდა, რომელსაც „ღუთოს" ეძახდა. თუ ვერ იპოვნიდა, მაშინ დანის პირს წაუსვებდა ხოლმე.

—ჭინჭარს კბილები ალა აქვს და ლათ მიკინა, დედა?—ტიტინებდა კიდევ დათიკო.

—ჭინჭარმა ეგრე იცის, შვილო, შენ აღარ მოკრიფო. წადი, მამას წყალი დაუსხი, მარტოკა სარამს ვაზებსა.

დანის წასმის შემდეგ დათიკოს თუმცა კიდევ უშუოდა ხელები, მაგრამ, მაინც დარწმუნებული იყო, რომ მალე დაუამდებოდა.

III

ყველიერი კიდეც გავიდა. დათიკო ექვსი წლისა შესრულდა. ქეთევანმა ყველიერის დღესვე მოზრდილ ხახვის თავში ჩუმად მწკრივად გაარჭო შვიდი ცალი ინდოურის ფთიდგან გამონაგლეჯი გძელი ბუმბული და მაღლა ხარიხაზედ ჩამოჰკიდა. დილით რომ დათიკოს გამოეღვიძა, თვალი ჭერში შაასწრო, შეეშინდა და დედას გვერდში ამოეფარა. დედისაგან ორი-სამი დღის წინადვე ეყურებოდა, რომ ბობოლა უნდა მოსულიყო და ვინც წმინდად არ იმარხულებდა, ან იცუებდა, იმას ბობოლა მოიტაცებდა. მას უკან ქეთევანი ყოველ კვირა ღამეს ბავშვების დაუსწრებლად თითო ბუმბულს გამოაგლეჯდა ხოლმე. როცა დათიკო მოკრძალებით შეეკითხა: „ერთი ბუმბული რათ აკლიაო"? დედამ უთხრა: „დიდმარხვა, შვილო, შვიდი კვირით არის, რამდენი კვირაც გავა იმდენი ბუმბული გაფრინდება, როცა შვიდივე კვირა გათავდება, ფუფალა ადგება და ბობოლა მაშინ სულ წავა, მერმე გახსნილდება და წითელი კვერცხი იჭმევაო".

ამის შემდეგ დათიკო მოუთმენლად სთვლიდა დღეებს და ელოდა კვირეების მალე გასვლას.

IV

ბატონიანთგან სანუგეშო ამბები არ მოდიოდა. გიორგის და ნიკას სიპატარავემ ვერ აიტანა ადრეულად სხვის კარებზედ მოუვლელობა მძიმე საქმეების კეთება და პირველ ზაფხულშივე დააწყებინა ორივეს ციებ-ცხელება, რომელიც ზამთარშიაც თან შეჰყვათ.

სწორედ ეს დიდმარხვა იყო, რომ ცოლის თხოვნით პეტრემ გამოიყვანა ბატონის სახლიდგან გიორგი და ნიკა და სანთელივით ჩამომდნარები მოიყვანა შინ.

დედის ჯიგარმა შვილების გასასაღებლად სხვათა შორის კიდევ ერთი ის ზრუნვა და მოვლა გამოიჩინა, რომ ისედაც დასუსტებულ შიშველა ბავშვებს სიცივეში შორს ეკკლესიაში საზიარებლად სიარული დააწყებინა.

არ გაიარა ორმა კვირამ, რომ გიორგი და ნიკა უზომარის სიცხით შეპყრობილნი ბალიშზე გადადებულნი ესვენნენ.

V

ავი დიდმარხვა დაუდგა პეტრეს ოჯახს. ხარებობის წინა დღეს უფროსი ვაჟი გიორგი დამარხა. ნიკაც სულს ებრძოდა. ზედდატანებაზედ მწუხარებით გამწარებულ ქეთევანს მუცელი ასტკივდა. პეტრე ბებიის მისაყვანად გაიქცა. პატარა დათიკოს გაუგებარი ყვირილი მეზობლებს არ ეყურებოდათ, რადგანაც შორს იდგნენ. მანამ პეტრემ ბებია მოიყვანა, ქეთევანს უკვე ქალი გაუჩნდა. არ გაიარა ორმა საათმა, რომ ნიკამაც სამუდამოდ დასტოვა ეს ქვეყანა. მშობიარეს მწარე კვნესამოთქმა, პეტრეს ოხვრა, დათიკოს ტირილი და ახალშობილის განუწყვეტელი ღნავილი ამ მიყრუებულ, უმეზობლო ალაგს უერთდებოდა მარტის მძვინვარე ქარიშხალს.

ქეთევანს თავის მელოგინობის დარდი აღარა ჰქონდა. გაცივდა, მუხლებმა ტკივილი დაიწყო, დაიხუთა და რამდენიმე დღის შემდეგ ის ჯანსაღი და მხნე ადამიანი ლოგინად ჩავარდა.

VI

პეტრეს ხასიათები გამოეცვალა. სახლისათვის არ ეცალა. ბატონი ხან აქეთ უკრავდა თავს და ხან იქით. ორიოდე ჩანახი პური ფქვილისათვის პეტრეს უარის თქმა არ შეეძლო. ისე იყო ყოველდღიურ ლუკმის შოვნით გამწარებული და გაძეძგვებული, რომ სახლში შესვლაც კი ეძნელებოდა. თანდათან შეეჩვია ბრაზობას. როცა შინ მოდიოდა, ავადმყოფ ცოლს უთუოდ ჩხუბს უმართავდა. რაც უნდა ეგრძნო ცოლშვილის უდანაშაულობა, თავს ვერ იკავებდა. აღარაფერი არ ახარებდა. გაჩუმდებოდა ცოლი, ვაი იყო, ეტყოდა რასმე—ვაგლახი. ქეთევანს ეცოდებოდა თავისი თავიც, ქმარიც, შვილებიც. თავს არ უტყდებოდა, რაკი ჰხედავდა სახლს მოუვლელად, ავადმყოფობას შეებრძოლებოდა, აუდგებოდა ლოგინს, კოჭლობით მივიდოდა კარებამდინ, რაც შეეძლო მიალაგ-მოალაგებდა, მაგრამ მუხლების ტეხვა-ტკივილები

გამავრცელებელი საზოგადოების მთავარ გამგეობის თავჯდომარე გენერალი გ. ყაზბეგი. გამგეობის წევრებს განუზრახავთ სთხოვონ ბ-ნს ყაზბეგს კვლავ დარჩეს გამგეობის თავჯდომარედ.

✦ **ტფ. ბალნეოლოგიური სადგური.** ქალაქის საბჭოს ბალნეოლოგიურმა კომისიამ მოიწონა პროექტი ტფილისის ბალნეოლოგიურ სადგურისა. სადგურის მოწყობა პროექტით ქალაქს 3 მილიონი დაუჯდება.

✦ **ქართული წარმოდგენა.** 7 ოქტომბერს ქართულ თეატრში პირველად გამოდის ჩვენი დამსახურებული მსახიობი ვლ. ალ.-მესხიშვილი. წარმოდგენილი იქმნება ი. გორდინის ცნობილი პიესა „სატანა“ წარმოდგენას რეჟისორობს ვლ. ალ. მესხიშვილი. ამ პიესისთვის გამგეობამ ახალი დეკორაციები შეიძინა. ვლ. ალ.-მესხიშვილის გარდა პიესაში მთავარ როლებს შესრულებენ ქ-ნი ნ. დავითაშვილი, ბ-ნი. ვ, გუნია, ვ, შალიკაშვილი, ნ. გვარაძე, და ი. ზარდალიშვილი.

✦ **ხოლერა ტფილისში.** 4 და 5 ოქტომბერს ტფილისში ხოლერით არავინ გამხდარა ავად. ხოლერიანთა სამკურნალოში ამ ჟამად არც ერთი ავადმყოფი არ არის.

✦ **ფრენა.** ვერაზე შეუდგნენ დიდის მოედანის გაკეთებას, სადაც აფრინდება ავიატორი ზაიკინი.

✦ **დანიშვნა.** ხონის ბოქაული თავ. ფალავა რაჭის მაზრის პირველ ნაწილის მომრიგებელ შუამავლად დაინიშნა.

✦ **თათბირი კავკასიაში მარგანეცის წარმოების შესახებ.** 20 ოქტომბერს პეტერბურგში დაიწყება თათბირი კავკასიის მარგანეცის წარმოების შესახებ. თათბირში მონაწილეობას მიიღებენ როგორც ნამესტნიკის საბჭოსი, ისე ფოთისა და ბათუმის თვით-მმართველობათა და მარგანეცის მწარმოებელთა წარმომადგენელნი.

✦ **ნაძალადევის გამშვენიერება.** 4 ოქტომბერს ტფ. ქალაქის საბჭომ განიხილა ხმოსან ქობულაშვილის განცხადება, რომელშიაც ნათქვამია, რომ ნაძალადევის ქუჩები მოუკირწყვლელი და გაუნათებელია და ამიტომ საჭიროა ქალაქის საბჭომ ყურადღება მიაქციოსო. საბჭომ დაადგინა დაავალოს გამგეობას შეადგინოს როგორც ნაძალადევისა, ისე ქალაქის სხვა განაპირა ადგილების ქუჩათა მოკირწყვლის და განათების პროექტი დაწვრილებით ხარჯთ-აღრიცხვით.

✦ **ცირკის შენობის დათვალიერება.** გოლოვინის პროსპექტზე უკვე ააგეს ხის დიდი შენობა ცირკისთვის. შენობას დღეს ტეხნიკოსთა საგანგებო კომისია დაათვალიერებს.

✦ **ჟურნალი „მოსავალი“.** უკვე გამოვიდა და რედაქციამ მიიღო სამეურნეო ჟურნალის „მოსავალის“-ი მე-17 და 18 ნომრები.

✦ **თავდასხმა** 2 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, ოსიაურში (გორის მაზრა) მომრიგებელ შუამავლის თავ. გ. ვეზირიშვილის ეზოში შესულან ფარაჯებში გამოწყობილნი ექვსი უცნობი. მათ დანახვაზე ეზოში მყოფ მომრიგებლის შუამავლის საქმის მწარმოებელს ოსიტაშვილს, რომელსაც ჰგონებია, რომ უცნობნი საქმეზე მივიდნენ, უთქვამს, თუ საქმე რამე გაქვთ, ეხლა დრო აღარ არის და ხვალ მოდითო. ასეთივე პასუხი მიუცია თავ. ვეზირიშვილსაც, რომელიც თავის სახლის აივანზე მდგარა, მაგრამ უცნობებს ალყა შემოურტყამთ ბ-ნ ოსიტაშვილისთვის, ხოლო ვეზირიშვილისთვის მიუთხოვნიათ, რომ აივნიდან არ დაძრულიყო. მიუხედავად ამისა ვეზირიშვილი მაინც სახლში შესულა, კარები მაგრად ჩაუკეტნია და შემდეგ თავის მეუღლით სარდაფში დამალულა, რომელსაც ჩასასვლელი ოთახიდან ჰქონია. შეიარაღებულს უცნობებს ბ. ოსიტაშვილისთვის დაუწყვიათ ცემა, მასთან ერთად ავარდნილან აივანზე, გაუტეხნიათ სახლის კარები და დაუწყვიათ სახლის ძარცვა და ვეზირიშვილის ძებნა. როდესაც დაუპირებიათ სარდაფში ჩასვლა ამ დროს მახლობელ სახლიდან შემოსმიათ თოფის სროლის ხმა, მათ შეშინებიათ და გაქცეულიან. წაუღიათ სხვა და სხვა ნივთები. უცნობნი პოლიციას ვერ აღმოუჩენია.

## წერილი მოსკოვიდან

მუდამ ძველი და მუდამ ახალი ბინის საკითხი ყოველ წელს მეტად მწვავდება. თუ შარშან და შარშან წინ ვჩიოდით ბინის სიძვირეს, წრევანდელმა ამბებმა ერთიანად დაჩრდილეს განვლილი გაჭირვება. აქამდის ოც მანეთად მაინც შეიძლებოდა გეშოვნა სადმე უნივერსიტეტის ახლოს ცოტად, თუ ბევრად რიგიანი ოთახი; დღეს ეგ სიტყვა „ოცი მანეთი“ ოთახის პატრონთა ლექსიკონში წაიშალა და სამ თუმან ნაკლებ ოთახის ფასს ვერსად გაიგონებთ. ჩვენი სტუდენტისთვის, რომლის ბიუჯეტსაც მხოლოდ ორ თუმან ნახევარი შეადგენს—ეს ამბავი მეტად საგრძნობელია. ამ მიზეზით ან უნდა გაიხიზნოს ქალაქ გარედ და უნივერსიტეტს სტუმრად თუ ეწვევი კვირაში ორჯერ, ან ერთხელ, თორემ სხვაფრივ ან შიმშილი მოკლავს და ან სიცივე. აქ კიდევ სწავლის ფული, ეგრეთ წოდებული პროფესორების ჰონარარი, უნივერსიტეტის სასარგებლოდ გადასახადი სწავლის უფლებისთვის,—ტანისამოსი განსაკუთრებით საზამთრო, მით უფრო რომ მოსკოვს თოვლი უკვე ესტუმრა გასულ კვირაში. ამ თავითვე გასულ წლებთან შედარებით სიცივეები საგრძნობელი დაიჭირა. შემოდგომა წაიშალა და პირდაპირ ზამთარი დადგა. ზოგიერთი ჩვენი სტუდენტის მდგომარეობა ასეთია, რომ დილით სანამ ცოტას არ დათბება—ასე შუა დღეზე,—თუ გამოდის და საღამო მოაღწევს თუ არა, შინისკენ გარბის—სიცივემ რომ არ მოუსწროს გზაში. მიზეზი უპალტოობა, დაშესაფერისი ტანთსაცმლის უქონლობა. ამ მიზეზით იძულებულია ლექციაზე დაიგვიანოს და ზოგს სულ მიანებოს თავი რადგანაც ლექციები დილის 9 საათიდან, საღამოს 8 საათამდე იკითხება. ზოგჯერ ისე მოგიწევს, რომ 9 დან 10-მდის უნდა უსმინო პროფესორს და საღამოს კიდევ 6 დან 8-მდი. აბა ასეთ დროს საიდან უნდა გამოყოს თავი კარში ტიტველა კაცმა.

ზოგიერთს ჩვენ „ნაფიც საზოგადო მოღვაწეს“ რომ ჰკითხო 25 მან. სტიპენდია თუ აქვს სტუდენტს,—ეგ ძალიან ბევრია და უეჭველად უნდა შეუმცირონ, რომ გარყვნილებას (?!) არ მიეჩვიოს, ან კიდევ: ზოგიერთებს უკვირთ ფილოსოფოსები რად არ გამოდიან ჩვენი ახალგაზდები, განსაკუთრებით სტიპენდიანტებიო. როდის და სად ნახულა შიმშილი და ცოდნა ხელ-გაყრილი რომ დადიოდნენ. რაღა ბევრი გავაგრძელოთ—ცოტად თუ ბევრად შორს მჭვრეტი ადამიანისთვის ცხადი უნდა იყოს, რომ თუ გვინდა მომზადებული და ცოდნით აღჭურვილი მუშაკი გამოვუზარდოთ სამშობლოს—ახალგაზდობაც შესაფერის მდგომარეობაში უნდა ჩავაყენოთ. კუჭ გამოხრაკული ფიზიკური და სულიერი უდღეური დიპლომიანი მოხელე ჩვენ ვერას გვარგებს.

ბევრად უმჯობესი იქნება თუ დღევანდელი სტიპენდიების სიმრავლე შემცირდება და მათი თვისება გაუმჯობესდება, ე. ი. თვითონ ფულის ჯამი გადიდდება და ნაკლებ რიცხვს, მაგრამ უფრო ღირსეულ ახალგაზდათ თუ დაენიშნება—თორემ გარწმუნებთ დიდ დანაშაულს ჩადიან დღევანდელი ჩვენი საზოგადოების მესვეურნი როდესაც 25 მანეთით საგანგებოდ მოხელეებს უზრდიან მთავრობას რუსის უნივერსიტეტებში. ეს მოვლენა ჩქარა გამოიღებს ნაყოფს—რაც ისეთი იქნება, რომ ყველას კბილს მოკვეთს, თუ არ მოსწამლავს. ახლა სხვას არას ვიტყვით, თუ საჭირო იქნა ამ საკითხს სხვა დროს დავუბრუნდებით.

**ლამურა.**

## გურიის ამბები

როგორც სხვაგან, ისე ჩვენს, ოზურგეთშიაც, ამ დღეებში ქალაქის მოურავის არჩევნები უნდა მომხდარიყო, მაგრამ რაღაც მიზეზების გამო არა ისმის რა. ჩვენი „მამები“ სდუმან. არავინ ხმას არ იღებს. ამ ჟამად ქალაქს „თაობს“ ალ. ალ. ბერიძე. დღეს მის ხელშია ყველაფერი. არც ესა ზრუნავს არჩევნების შესახებ. ან კი რად შეიწუხებს თავს, როცა თვით არის ქალაქის თავი? ისე-კი ბევრი ემზადება „სათავოდ“, მაგრამ, ვინ იცის, ვის გაუღიმებს ბედი?

— მას შემდეგ რაც უმაღლეს სკოლებში მოსწავლე-ახალგაზრდობა აქედან გაიკრიბა, ოზურგეთი უბრალო დაბას დაემგზავსა: არც წარმოდგენების მართვა, არც ლექციების კითხვა და არც სხვა რაიმე ამგვარი ჩვენთვის აღარ არსებობს (უკაცრავად კინაღამ დამავიწყდა კალანდაძის ცირკი, რომელიც ამ დღეებში მოგვევლინა!!)

არავინ კრინტს არ სძრავს თეატრის შესახებ. ინტელიგენტები აქ საკმაოდ არის, მაგრამ ყველა უსაქმობას იჩენს, ცარიელ არშიყობაში და კარტ-ნარდის თამაშში ატარებენ დროს.

„სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა, შუა უზის დიდი ზვარიო“ ეს თქმულება ზედ გამოჭრილია ჩვენს ინტელიგენტებზე. ეს დალოცვილები სიტყვით ყველაფერს აკეთებენ და საქმით კი... არაფერს...

ამ ერთი კვირის წინად სარკანაში ყურძნის კრების დროს ხიდან ჩამოვარდა ა. კვაჭანტირაძე, რომელიც საღამო ჟამს გარდაიცვალა.

ს. დვაბზუში უკვე შეუდგნენ დრამა ფულის კრეფას. თვითეულ კომლზე ოთხოთხი მანეთია გაწერილი.

სამოქალაქო სასწავლებელის მასწავლებელი მღ. მ. ქავჟარაძე გადაყვანილი იქმნა ბაქოში. აგრეთვე გადაიყვანეს ქალთა სასწავლებლის უფროსი ქალი ნაკაშიძე, მის ადგილზე დაინიშნა ლ. დუმბაძე.

ოზურგეთი გაბედნიერდა და ეს გაბედნიერება გამოიხატება იმაში, რომ მას ამ დღეებში მ. კალანდაძის ცირკი ესტუმრა. როგორც ამბობენ ის აქ მთელ ზამთარს დაჰყოფს. ალბად მოგებას ჰხედავს!

ეს სამი დღეა რაც ჟურნალ გაზეთები არ მიგვილია. მიზეზი? გამოურკვეველია... **ოზურგეთელი.**

## მოწერილი ამბები

**სოფ. მჭადიჯვარი.** (დუშეთის მაზრა) 26 სექტემბერს აქ აკურთხეს ადგილობრივ ახლად გახსნილი პირველ დაწყებითი სამინისტრო სასწავლებელი. მასწავლებლად დაინიშნა გორის ქალთა გიმნაზიის დამთავრებული ქალი ა. ავაზნელოვი; ტომით სომეხი.

სასწავლებლის კურთხევას აქაური გლეხები არ დასწრებიან.

ჯერ-ჯერობით მიბარებულ იქმნა 32 ბავშვი.

ამ სასწავლებლის გახსნაზე დიდი ამაგი მიუძღვის ამორჩეულ მამასახლის გაბაშვილს. იმედია, შემდეგშიც დახმარება ამისთანა სასარგებლო საქმეს.

იმედი გვაქვს აგრეთვე რომ ახლად დანიშნული მასწავლებელი მეტ ყურადღებას მიაქცევს აქაურ ბავშვების დედა-ენას და უცხო ენების შესწავლით ჯერ-ჯერობით არ გამოულაყებს ტვინს ქართველ ბავშვებს.

პურის მოსავალი წელს ძრიელ ცოტა იყო. ღვინო შარშანდელივით ბევრი ვერ მოვიდა.

აქეთ ციებ-ცხელება ძალიან გახშირებულია. **„ნარეკვავი“**

—

**მიქელ-გაბრიელის საზოგადოება.** (გურია). გასულ [illegible] მოჰკლეს სოფ. სამხრეთის მცხოვრები კ. გუჯაბიძე როგორც გამოირკვა მკვლელობა უაზადებს ჩაუდენიათ. მთავრობამ ეჭვი მიიტანა, რომ უაზადებს მიქელ-გაბრიელელები ინახავდნენ და ეგზეკუციის ჩამოყენებას შეგვპირდნენ.

სექტემბრის პირველ რიცხვებში ვიდამაც ადგილობრივ მღვდლებს და საზოგადოების სახელით გაუცხადა, უარი სთქვით დრამის ფულების მიღებაზედო. რამდენიმე წვრილმანი საქმეებიც მოხდა. სოფლელები დაფიქრდნენ. ყველამ იგრძნო, რომ კერძო პირების ამნაირ მოქმედებას ეგზეკუციის სუნი უდიოდა.

17 სექტემბერს გვესტუმრა ბოქაული. ამ დღეს კოკისპირული წვიმა მოდიოდა. საბრალო სანახავი იყო ცის ქვეშ შექუჩებული ურიდობა.

ბოქაულმა მოითხოვა დასახელებინათ ის პირები, რომლებიც უაზადებს ინახავენ, რაზედაც სოფლელებმა დუმილით უპასუხა. ბოქაულმა გამოაცხადა: „რადგანაც უაზადების გაცემა არა გსურთ დაჯარიმებული იქნებით 500 მანეთით და ამას გარდა ახლავე უნდა გააწეროთ და მოჰკრიბოთ მომავალი წლის დრამის ფულებიო“.

სოფლელებმა მოსალაპარაკებლად ვადა ითხოვეს, მაგრამ უარი მიიღეს.

არჩეულმა პირებმა იმ დამესვე გააწერეს ფულები და მეორე დღეს საკმაოდ ძლიერი რაზმება გაიტანტა სოფლებში და ფულების მოკრეფას შეუდგა. ჯარიმის გადახდა პირველი და უკანასკნელი არ არის ჩვენთვის, მაგრამ დრამის ფულები რომ წინდაწინ წაგდოთ, ეს თუ არ გცდები, ახალი ხილია.

ტეხა-კრეფა დაიწყო. მოსატეხ-მოსაკრეფი ძალიან ცოტაა. ზოგიერთები ახალი სიმინდის გაყიდვას ეხლავე შეუდგნენ. **?**

—

**სოფელი. ჯუნჯუათი.** (გურია). ეს სოფელი მდებარეობს დანჩხუთის მახლობლად. აქამდე შკოლა არა გვქონდა. წელს კი დაგვიარსდა ერთ-კლასიანი სამინისტრო შკოლა.

ჩვენი სოფელი მთელ გურიაში გათქმულია თავისის წისქვილებით.

ხალხიც მუყაითი და შრომელი სცხოვრობს. ამ ბოლოს დროს მიჰყვეს დაბლის ვენახების მოშენებას.

საზოგადოდ, აქაურები შესმენილი ხალხია და განურჩევლად წოდებისა და

---

ისევ მალე ჩააწვენდა ხოლმე ლოგინში. ბევრჯერ ქმარს ღიმილით ხვდებოდა, უნდოდა, ნუგეში მიეცა, გული გაემაგრებინა, მაგრამ პეტრეს ალერსი და მიფერება უფრო აანჩხლებდა. როცა ტახტზე ჩამოჯდებოდა და ოჯახს ბნელი სიჩუმე შეიპყრობდა. პატარა დათიკო კვლავინდებურად შეეცდებოდა მამის კალთასთან ახლო მისვლას, მაგრამ მამა ისეთას შეუტევდა უდანაშაულო ბავშვს, რომ სულ დავირებს უფანტავდა. პეტრემ თითონაც არ იცოდა, რათ ექცეოდა ოჯახს ესრე. გულის მობრუნებას ველარ ახერხებდა. სახლში რომ ვინმე მეზობელთაგანი მოსულიყო ავადმყოფის ნუგეშის მისაცემად, ან მოსახმარებლად, იმაზედაკ კი იღრინებოდა.

ბოლოს და ბოლოს პეტრე გაეჩვია ბატონის სახლში ერთგულობისათვის ჩაის დალევას, ორიოდე შაურის დუქანში ღვინოზედ დახარჯვას, გავარეულებას, სახლი თითქმის აღარც კი ავონდებოდა.

ქეთევანი დაუძლურდა. ანდამალუწი შეიქმნა. ლოგინიდან ველარა დგებოდა. მისთვის არც წამალი, არც დამრეცხი, არც დამკერებელი ქვეყანაზედ არ მოიპოვებოდა. ბავშვის ჩვრები, კარების მიხურვა-გაღება, წყლის მიწოდება პატარა დათიკოს დააწვა კისერზედ. ათასში ერთხელ მოხუცებული ელისაბედი, რომელიც იყო ქეთევანის დედეულიდამ შორეული ნათესავი, მადლის წყულისათვის ჯოხდაბჯენილი თუ შემოივლიდა და დაეხმარებოდა რამეში, თორემ ქეთევანს აღარაფრის თავი აღარა ჰქონდა. ელისაბედი წასვლის დროს ბობოლასაც მიაქცევდა ხოლმე ყურადღებას. თუ ბუმბული მეტი ჰქონდა, ჩუმად გამოაგლეჯდა. დათიკოს კი ეტყოდა: „კარგად მოიქეცი, დედას ყველაფერი გაუგონე, თორემ ბობოლა გაჯავრდებაო“.

დათიკო კი ისეთი კეთილი ბავშვი იზრდებოდა, რომ დაურიგებლადაც კარგადა ჰგრძნობდა მშობლის წყლულებს და ყველაფერს უგონებდა.

ბოლოს ელისაბედმა იმდენი მოახერხა რომ პეტრე დაიყოლია ბავშვის გაბარებაზედ.

პეტრემ უცებ გადიხადა ნათლობა და ახალშობილს დაარქვეს სონა.

მეორე დღეს დილით ელისაბედმა მოიყვანა მახლობელ სოფლიდან ვინმე ჩოჩელი ოსანა და გაურიგდნენ ბავშვის მოვლას თვეში ორ მანეთად.

დათიკო თან გაჰყვა ოსანას, რომ პატარა სონას ბინა სცოდნოდა და ამბავი მოეტანა ხოლმე დედისათვის.

VII

ასე გაიარა დიდმარხვის ექვსმა კვირამ. ბზობა დილა გათენდა. დათიკო შეეჩვია საქმეს, სახლის სილარიბეს, დედის ავადმყოფობას, მამის ჯავრობას. დედასაც ეცოდებოდა, უყვარდა და აფასებდა. როცა დათიკო, საქმეს გაათავებდა, დედა სათამაშოდ გზავნიდა. მხოლოდ გააფთხილებდა ხოლმე: „არ დაიგვიანოვო, თორემ მამა რომ მოვიდეს და შინ არ დაუხვდე, გაჯავრდებაო“.

ქეთევანს ერთი შაური ჰქონდა ჩუმად ჩვარში მაგრად გამოკრული. მთელი დიდმარხვა ისე გავიდა, რომ იმათ სახლში სველი საჭმელი არ გაჩენილიყო. თევზი ძრიელ უყვარდა და იფიქრა: „იქნება შაურად ერთი „რებეცი“ მოგვცენო“

— აქ მოდი, ბიჭიკო. ჩემო, ვაჟიკაცო!—დაუძახა შვილს.

დათიკო რაღასაც ჩხირკედელაობდა. საჩქაროდ გაანება თავი და მოვიდა დედასთან.

ქეთევანმა მძიმედ გამოხსნა ჩვარი:

— გაიქეცი, გენაცვალოს დედაშენი გოხიმელაბიჭის დუქანში, მიეცი შაური და უთხარი: „დედაჩემმა, ამისი „რებეცის“ თევზი გამოგზანევითქო“!.. მამაშენმა, რაც ლოთობა დაიწყო, ბატონის ფულებს სულ იქა ჰხარჯავს... უთუოდ მოგცემს, არ დაიგვიანო, ბზობა დღეა, თევზი დავძლიოთ. ირბინე, აგრემც შენს დიდკაცობას მომასწრებს ღმერთი!—უთხრა და მისცა ფული.

დათიკო გაიქცა.

ქეთევანს ისე თევზის ჭამით განებივრება არ უნდოდა, როგორც იმ რწმენამ მოამხიარულა, რომ ახალ დამარხულ შვილებს თევზს გაუჭრიდა და ამითი ბზობის წესს შეუსრულებდა.

დათიკო მივიდა გოხიგელაბიჭთან, მისცა შაური და გააგებინა, რაც დედამ დააბარა:

მედუქნეს სიცილად არ ეყო და უკან გადმოუგდო ფული:

— წადი, წადი, შვილო, ჩვენ შაურიანი „რებეცი“ არა გვაქვს, თითო რვა კაპეიკია!..

დათიკომ სხვა დუქნებიც დაიარა, მაგრამ ყველამ უარი უთხრა. ბოლოს გამობრუნდა და ერთს ახლად გახსნილ საწვრიმალოს დუქნის ფანჯარასთან გაჩერდა. გადიხედა და დაინახა: სხვა სათამაშოების გარდა, პატარა, შაურიანი ტყვიის თოფები ელაგნენ. ინატრა: „ახ, ერთი ამისთანა თოფი ნეტა მეცა მქონდესო“.

ნიკალაანთ კოლასთვის მამას ქალაქიდან მოეტანა და კოლა დათიკოს შორიდან აჩვენებდა და ხელში კი არ დაუჭერინებია. ახლა რაკი თავიანთ სოფლის დუქანშიაც მიეტანათ გასასყიდათ, დათიკოს სიამოვნება და ნდომა ერთი ორად მიემატა თოფისა. უყურა, უყურა და იფიქრა: „თუ კი კოლას აქვს, მე რატომ არ უნდა მქონდესო, მიდი, ამ შაურით ვიყიდიო“. თითქმის გადასწყვიტა. მაგრამ მალე მიაგონდა: „დედას ეწყინებაო“.

დათიკო რომ ამ ფიქრებში იყო, თავზედ წამოადგა თავისი ნათლია გაბრიელა:

— ბიჭო, აქ რას აკეთებ?

დათიკო უცებ შეკრთა, მაგრამ, რაკი იცნო, მიუგო:

— დედამ გამომგზავნა: „თევზი იყიდეო“.

— მერე, რატომ არა ყიდულობ?

— არ მომცეს: „შაური ცოტააო“.

— მამაშენი წუხელის შინ იყო?

— არა მოსულა..

— რა დაემართა ი კაცსა...—იფიქრა გრძნობით გაბრიელამ და ისევ ბავშვს მიუბრუნდა: წამოდი, მე გიყიდი თევზსა.

დათიკო გაჰყვა. გზაში ფიქრობდა: „იქნება თოფიც მიყიდოსო“...

გაბრიელამ ორი გირვანქა თევზეული უყიდა და ფულიც უკანვე გაატანა.

დათიკო გახარებული გაიქცა შინ: „ამ შაურს დედას ვთხოვო და თოფს ვიყიდიო“

ქეთევანმა რომ თევზით სავსე ხელსახოცი და ფულიც უკანვე მიტანილი ნახა, დათიკოზედ უფრო ძრიელ გაეხარდა. მაშინათვე მოისაზრა და შვილის უთხრა:

— გაიქეცი, გენაცვალოს დედაშენი, საყდარში და მანამ წირვა გამოსულა, ეს შაური და თევზის ნაჭერი ვანო ღვდელს მიუტანე: ‚დედაჩემმა, ჩვენი გიორგი და ნიკა მოიხსენიეთქო“! ჩქარა, აგრემც შენ გამეზარდები, წირვამ არ გამოგისწროს.

დათიკომ ველარაფერი აწამა და ცოტა გულნაკლულად გაჰყვა ორღობეს. მივიდა, რაც დედამ დააბარა, ყველაფერი შეასრულა, მერე დაიჩოქა, ილოცა, მამაც, დედაც, გიორგაც, ნიკაც, პატარა სონაც ფუფალას შეავედრა, ბოლოს თქვა: „მეც კარგი კაცი გამზარდეო“, აკოცა საყდრის კედელს და გამოიქცა შინისაკენ.

ქეთევანი კი ფიქრობდა: „ნეტა ერთი შაურიცა მქონოდა რომ სანთელიც ამენთოვო“.

VIII

ოთხშაფათ საღამო იყო. ყველგან ჭიაკოკონებს ანთებდნენ.

— წავალ, დედა, მეც ვითამაშებ!

—ისეთი მუდარის კილოთი შეეხვეწა დათიკო დედას, რომ დედამ უარი ვერ უთხრა.

დათიკო ისე გაერთო ჭიაკოკონობა ღამეს, რომ სახლი სულ გადაავიწყდა.

სოფელში დედაბერნი და მოხუცი კაცები თავთავიანთ სადგომებს გარშემო უვლიდნენ და აქა-იქ კუთხეებში ასკილის ეკლებს არჭობდნენ, რომ, მათის რწმენით, ეშმაკები, რომელნიც ამაღამ გაივლიდნენ იალბუზის მთაზე „ბრუტ საბძელისკენ“ ტარტაროზის მისალოცად, არ მიჰკარებოდნენ. ისმოდა მათი ამგვარი სიტყვები: „შორს ჩვენგან მაცდურნო, შორს ჩვენგან მავნე სულნო, შორს ჩვენგან კუდიანნო, ეს ადგილი წმინდანისა, წმინდა ღვთისა მშობლისანი, მთვარე გაბადრულისანი, ღმერთო შეჰკარ და შებეჭდე მოარული ღამისანი; მაწყინარი კაცისანი“! და სხვა. ზოგს ჭიაკოკონა არმაზ კერპის დროინდელ ნაშთად წარმოედგინა. ხტებოდნენ ცეცხლზედ და ამითი მითომ სუფთავდებოდნენ. ახტუნებდნენ: მოხუცებულებსაც, ბავშვებსაც, ქალებსაც. დათიკოსაც უნდოდა გადახტომა, ის თითქო ვერავინ შეამჩნია იქა. ბოლოს შეეცადა თითონ. გაქანდა, მაგრამ, სწორედ ამდროს გამოქანდა მეორე მხრიდგან იმისი ტოლი ქიტიანთ ილო და ორივენი შუა ცეცხლის ალში ერმანეთს დაეჯახნენ. ქალი და კაცი მისცვივდნენ და საჩქაროდ გამოიტაცეს. დათიკოს შუბლი ძალიან ეტკინა, მაგრამ არ იტირა კი. ქიტიანთ ილომ ღრიალი მორთო. საიდგანღაც მოიჭრა გულგახეთქილი ილოს დედა და შვილს გადაეფაფრა. დათიკოს კი ჯავრობა დაუწყო: „თქვენი სახლი უბედურია და აქაკ საუბედუროდ მოხვედიო“?!..

ამ სიტყვებმა დათიკოს გული ატკინა.

**გ. ხეჩუაშვილი.**

(შემდეგი იქნება)

მდგომარეობისა, სასოფლო საქმეებს და სოფლის გამშვენიერებას დიდ ყურადღებას აქცევენ. ვუსურვოთ წარმატება.

ვ. ბარამიძე.

---

სოფელ. ჭაგანი. (ქუთ. მაზრა). დღემდე ჩვენ საზოგადოებაში სამი სოფელი იყო: ჭაგანი, ჩხენიში და ხუნჯულაური. ამ სამ სოფელს სახელმწიფო გადასახადი წლიურად დაახლოვებით 2000. მანეთამდე ჰქონდა. დღეს სოფელი ხუნჯულაური სიშორის გამო გამოეყო ჩვენ საზოგადოებას დაზემო ნაწყვეტი თანხა დაეკისრა მხოლოდ ორ სოფელს: ჭაგანსა და ჩხენიშის.

ჩვენ სოფელს ციებ-ცხელება მოუდო და ექიმი კი არა გვყავს. გიდრე სოფელში იყო ადესის უნივერსიტეტის ექიმი სტუდენტი ბ-ნი გასიდ ელაჯეიშვილი დიდი სამსახური გაგვიწია. ახლა კი დავრჩით უექიმოდ.

საჩხენიშსა და ხუნჯულაურში მძვინვარებს მუცელა, რამაც დიდი ზარალი მიაყენა მცხოვრებთ. ნამეტნავად მუსრი გაავლო მცირე წლოვან ყმაწვილებს.

ან—შვილი.

---

სოფ. მარტყოფი (გარედ კახეთი) წლის მოსავალი თითქმის რომ სრულებით მოიკრიფა. შეიძლება ითქვას, რომ მთელი წლის ნამუშავარმა მუქთად ჩაუარა, როგორც აქაურებს, ისე ახლო-მახლო სოფლის გლეხობასაც. წრეულს ათჯერ ნაკლები მოსავალი იყო.

აქაური სამინისტრო სასწავლებელი ჯერაც უმოქმედოდაა. შკოლის შენობის გამშვენიერებაზე სოფელმა 160 თუმანზე მეტი დახარჯა და მთავრობას კი ჯერ მასწავლებელი არ გამოუგზავნია. გულ შემატკივრობაც ასეთი უნდა.

ენკენისთვის შუა რიცხვებში აქ მოვიდა კახეთის რკინის გზის გამყვანი კომისია მემამულებთან მოსალაპარაკებლად. ხანგრძლივი კამათის შემდეგ სოფელმა მიწების სათვასურად ფაიები აიღო და ამ გვარად მომავალ რკინის გზის მონაწილე გახდა.

ამ ორი კვირის წინად ადექსა გუგუნაშვილი, გლეხი, გახდა მსხვერპლი თავის მეზობლის უგვანობისა. მან მოიწადინა გაშველება ორი მაჩხუბარი გლეხისა, მაგრამ, სამწუხაროდ, ბედმა უმუხთლა და ერთმა ლოთივრად მოქხეულმა მარგილის დაკვრამ თავი გაუხეთქა და მეორე დღეს სამუდამოდ წუთი-სოფელს გამოასალმა.

ხევდიანი.

# ნეტა თუ მართალია?!

გომბორზედ გავლის დროს ალაგ-ალაგ შევნიშნე მაღალი მუხის ბოძები, ხილის ბაღში, რომლებსაც მსხვილი მავთული ჰქონდათ ძირიდან თავამდის, ნახევარი არშინით ბოძებზე მაღლა აცილებული.

ვკითხე მნიშვნელობა ამ ბოძებისა და ერთმა თანამგზავრმა გვიამბო: ამ ბაღის პატრონი არის შეძლებული „ნემენცი". რამდენიმე წელიწადი თვალი უდევნებია გაზეთებში, რომ ერთ მხარეს, საზღვარ გარეთ, შვიდი წლის განმავლობაში სეტყვა არ მოსულა. წასულა მიზეზის შესატყობად. იქ უნახავს იმას მაღალი მუხის ბოძები, რომლებიც ერთმანეთისაგან დაშორებულები ყოფილან ორმოცი საჟენით. ბოძების ძირში ყოფილა თითო პატარა ნაჭერი რკინისა, რომლებსაც მუშტის ოდენათ ჰქონიათ დახვეული მსხვილი მავთული და შემდეგ ეს მავთული ყოფილა ატარებული გარედან ბოძზე და ნახევარი არშინით მაღლა ყოფილა აყვანილი. ესე მოწყობილი ბოძი ყოფილა მფარველი სეტყვისაგან. როცა სეტყვა მოდის, ამნაირი ბოძი უკან აბრუნებს დაუპატიჟებელ სტუმარს და გაოხრებისაგან იფარავს ადამიანის ჩარჩო-საბადებელს.

ჩვენი სამშობლო კარგად იცნობს სეტყვის ოინებს, რომელიც იგი ხშირი სტუმარია. ხშირად დიდი მამულის პატრონს ცარიელსა სტოვებს ეს საზარელი სტუმარი. ამიტომ ურიგო არ იქნება გამოიკვლიონ მნიშვნელობა შეიარაღებული ბოძებისა.

ა-ნი მულინი, პატრონი ხილის ბაღისა გომბორზედ, დიდ ამაგს დასდებს ჩვენ დაბეჩავებულ გლეხებს, რომ დაუხმაროს ამ საგანში და საჭირო ცნობები მიაწოდოს გაზეთების საშუალებით.

ამისთანა საბრძოლველი იარაღი მით ძვირფასია, რომ აღარც ღამე ექნება კაცს შიში და აღარც დღე და ეგებ ამის შემდეგ მაინც ცოტა წელში გაიმართოს ჩვენი შრომის შვილი. ვეცრად ნაკლებიც დაჯდება ეხლანდელ ზარბაზნებზე, უშიშარი იქნება, არც ტყვია-წამალი და არ ყარაული არ დასჭირდება.

კაკიანთხეველი.

# თეატრი და ხელოვნება

**ქუთაისი.** „გერმანელ მწერლის ლენგიელის ახალი პიესა „ტაიფუნი" ცდილობს ახადოს ფარდა იაპონელის სულის მისწრაფებას და დაგვანახვოს მისი მიზნები.

ამ ახალი პიესით გახსნა სეზონი ქუთაისის დრამატიულმა დასმა. შინაარსით პიესა მარტივია.

გამოჩენილს მწერალსა და მეცნიერს იაპონელ ტოკერამოს გამოსაკვლევად მინდობილი აქვს ფრიად საყურადღებო საკითხი და ამ მიზნის მისაღწევად იგი ირჩევს საფრანგეთის სატახტო ქალაქს—პარიზს. აქ მის სახლში, როგორც თავის წარჩინებულ თანამემამულესთან, ხშირად იკრიბებიან პარიზში მყოფნი იაპონელნი. ყველა მათგანი წინადვე მოფიქრებულის გეგმით დროებით მოშორებია სამშობლოს. მათი მისწრაფებაა: გაეცნონ ევროპის ცივილიზაციას, და რაც მათ სამშობლოს საკეთილდღეოდ გამოდგება, ან ამყნონ იგი შემდეგ თავის ქვეყანაში.

ყველა მათგანი დიდად აფასებს და პატივსა სცემს ტოკერამს, მაგრამ ამ უკანასკნელის სულიერ განწყობილებაში მის მუყაით და თავდადებულ შრომაში შეიჭრება ძალა მშვიდობისა და სიდინჯის დამარღვეველი. ამისი მიზეზია ევროპიელი ქალი. მათ ორივეს ერთმანეთი თითქოს უყვართ კიდეც, მაგრამ ამ საერთო სიყვარულს ორივე მხარე თავისებურობის ხასიათით ჰმოსავს, განსხვავება მათ შორის იქვე სჩანს, როგორც თვით მათ გარეგნობაში—ერთ მხარეს სდგას მუდამ აღზნებული და მოუსვენარი ევროპიელი ქალი თავისი თეთრი სახით—მეორე მხარეს-კი მუდამ აუჩქარებელი, დინჯი და ჭკვიანი იაპონელი თავისი ყვითელი სახით და ვიწრო თვალებით. მალე დგება დასასრული დასაწყისისა. ელენ თავის „ყვითელ" სატრფოს შეურაცყოფს, დასცინის, თავმომწონე იაპონელი ვერ ურიგდება ამ დამცირებას და ქალს ახრჩობს...

იაპონელთა კოლონია ღამნაშავეს სასჯელისაგან დახსნას სცდილობს, ტოკერამოს სიცოცხლე მათი სამშობლოსათვის ძვირფასია, ამიტომ ყველა სიამოვნებით სთანხმდება დანაშაული გადიბრალოს თავის თავზე.. ერთმანეთს სიხარულით ეცილებიან კიდეც არა მე მარგეთ ეგ საპატიო ხვედრი და არა მეო. ტოკერამო უარზედა დგას, მაგრამ ერთი ახალგაზდა იაპონელი ირონარი მაინც დაითანხმებს ყველას და „დამნაშავედ" თავს აღიარებს. თავის თავს. საფრანგეთის სასამართლო საქმეს აწარმოებს. გამოძიების დროს ნამდვილი მკვლელი ტყდება თავი, დანაშაულში, რითაც სასამართლოს უხერხულ მდგომარეობაში ყენებს. რადგანაც პირველი დამნაშავე „გულახდილად" გამოტყდა ბოროტმოქმედებაში, რამაც რასაკვირველია სასჯელი შეუმსუბუქა. ტოკერამოს გამოტეხა აღარა სწამთ.

ამის შემდეგ ტოკერამი ცხოვრებისათვის მაინც ველარ გამოდგა. იგი სევდა ფიქრისგან უზომო შრომისგან ავადმყოფდება და მალეც კვდება. მის მეგობრებს-კი ხელში რჩებათ დამთავრებული თხზულება, რომელიც სიკვდილის წინა ჟამს დაამთავრა... ამგვარად ევროპის ცივილიზაციის ძიება-შესწავლამ შეიწირა საუკეთესო მამულიშვილი, მაგრამ იაპონელთა თვალი მშრალია, იგი მხნე და მაგარია ასეთი მსხვერპლის წინაშე, იგი უშიშარია თვით იმ სასტიკ „ტაიფუნის—გრიგალის, ქარტეხილის—წინაშეც-კი, რომელიც ასე ხშირად ესტუმრება ხოლმე იაპონიას, ამსხვრევს და ანადგურებს მთელ სოფლებს, დაბებს და ქალაქებს, მაგრამ ძალა საერთოდ შედუღებულ-შეკავშირებული მოვალეობა შვილითი-შვილამდე გადაცემული ყოველ გრიგალზე მძლეთა-მძლეა სამშობლოს ხელახლად აღმყვავებელი.

პიესა თავდება კობიარის სიტყვებით: სიკვდილი არაფერია, ვინც დაიბადა, ის უეჭველად უნდა მოკვდეს. საქმე ცხოვრება და მოვალეობა არისო...

პიესა თავისი სიუჟეტით მაინც-დამაინც ვერ გაგვაკვირვებს, მაგრამ არის ალაგ-ალაგ ახალი და ჩვენთვის ხალისიანი სცენები. მოიპოვება აგრეთვე მეტად მოსაწყენიც თავისებურებულობით. ნამეტნავად პირველი მოქმედების ბოლო.

პიესაში პირველ ხარისხოვანი როლები ცოტაა. სამაგიეროდ მეორე ხარისხოვანნი ბლომად. და ამ უკანასკნელს უნდა მიექცეს მეტი ყურადღება.

უმთავრესი მომქმედი პირი ტოკერამო ბ-ნი იმედაშვილის გადმოცემაში არ იყო ურიგო. ამ მსახიობს თუმცა საზოგადოდ ხულიერ ტანჯვაბოლმის გადმოცემა ემარჯვება, მაგრამ ჩვენ მეტსაც მოველოდით. მეორე მოქმედება, სცენა ელენის დახრჩობის შემდეგ—მსახიობს ფართო, თვალ-უწვდენელ ასპარეზს აძლევს ამ გრძნობის გამოსახატავად. შიში... აი გრძნობა რითიცაა შეპყრობილი დამნაშავე. თვით ტელეფონის ზარის რაწკუნი შიშის ზარსა სცემს მას, თრთის ცახცახებს, ვერ მიახლოვებია. თითქმის ეშინიან ტელეფონში ხმა არ მოსჩანს ჩემი ბოროტ-მოქმედება, არ დამატუსაღონო.

ვიმეორებთ ეს ადგილი მსახიობს ურიგოდ არ ჩაუტარებია, მაგრამ ეს უმთავრესი ადგილია მთელს პიესაში და მეტის ღირსიც...

შემდეგი რიგი უჭირავს კობაიაშის. იგი მეტად შესაფერისი, დინჯი და სინამდვილით წარმოდგენილი იყო ბ-ნ ყალაბეგიშვილის მიერ. ქალების როლი პიესაში მხოლოდ ორია. უმთავრესი ელენ დაროში, რომელიც ქ-ნ ნ. ჩხეიძის გადმოცემაში რასაკვირველია კარგი იყო.

არ იყო ურიგო იარონაროს როლში ბ-ნი აპტალიძე. ვნახოთ აწი. მეტად სუსტი იყო მესამე მოქმედება. სცენა სასამართლოში. ესეთი სასამართლო საფრანგეთში კი არა, ვგონებ... ქუთაისის სცენაზედაც არ უნდა ყოფილიყო. არც თავმჯდომარე არც ბრალმდებელი და არც დამცველი თავის ქერქში არ იყო, ნამეტნავად ეს უკანასკნელი. მართალია ბ-ნი წუწუნავა „ექსპრომტად" გამოვიდა სხვის მაგივრად, მაგრამ საზოგადოება მეტად გაიტანჯა მისი ენა-წყლიანობითა და ვექილობითი „მჭერმეტყველების" მოსმენით..

ენა ბ-ნ არაბიკისაც საკმაოდ უბორძიკებდა.

მეტად კარგი, პირდაპირ საუცხოვო შთაბეჭდილება დასტოვა პირველმა ორმა მოქმედებამ. ჩვენი ლარიბი სცენის მიხედვით, მეტად მშვენივრად იყო მორთულ-მოკაზმული ტოკერამის სამუშაო კაბინეტი. ამას ზედ დაუმატეთ ჩინებული, მწყობრი და შეთანხმებული თამაში მსახიობთა. იაპონელთა ჯგუფს მეთაურობდა—უსიტყვო როლში—ბ-ნი ქორელი, რომლის ყოფნამაც სცენაზედ საერთო შნოიანობას უეჭველად შეუწყო ხელი. საზოგადოებას მოეწონა აგრეთვე მისი გრიმი. მეტად ცხადი იაპონური სახე ჰქონდა.

პიესა საზოგადოებას მოეწონა. განმეორებით თუ ითამაშეს, მესამე მოქმედებას „რემონტი" დასჭირდება.

წარმოდგენას წინ უძღოდა ბ-ნი დადიანის წინადადება—ფეხზედ ადგომით პატივი ეცა საზოგადოებას მსახიობ ნატო-ვაჩნაძის გარდაცვალებისათვის, და წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც გატარებული იყო ის აზრი და მისწრაფება, რაიცა დასახული აქვს წრევანდელს დასს თავის სამოქმედოდ... საერთო საქმის წინ ვასაძლოლად საჭიროა გაღებული იქმნას ორი კიდის შესაერთებლად ხიდი. ჩვენის მხრით ვეცდებით შრომას, თქვენით კი ველით დახმარებასო...

წარმოდგენამ დიდძალი საზოგადოება მოიზიდა. ბევრი წინდაწინვე იყო დაწუნების გუნებაზე, მაგრამ პირველმა გამოცდამ კარგად ჩაიარა.

თეატრმა სერიოზული სახე მიიღო. ფოიეში ზარი რიწკინებს. კარებები თავის დროზე იკეტება. პარტერში გასასვლელ-გამოსასვლელებში იატაკზე ფარდაგია დაფენილი. წარმოდგენა სრულ რვა საათზე დაიწყო. ბევრი კარებს უკან დარჩა და მხოლოდ მეორე მოქმედებაზე შემოვიდა პარტერში, კბილების კრაჭუნით ახალს წესზე არაფერია, ბატონებო, მერწმუნეთ, მალე ყველანი დარჩებიან მადლიელი ამ ახალი წესით. კურიოზებიც ბევრი იქნება. ქუთაისში ორ კაცს ვერ ნახავთ რომ ერთგვარი დრო ჰქონდეთ, ყველას საათი თავის ჭკუაზე ტრიალებს. 1/2 ან 3/4 საათისა ეს ჩვეულებრივი განსხვავებაა ერთი მეორისაგან. ამიტომ შეცდომებიც ბევრი იყო. ან ნახევარი საათით ადრე გამოიჭიმები თეატრში, ან ნახევარი საათით უნებურად დაგვიანდები... სხვაგან რომ არის ან შუადღის მაჩვენებელი ან ქალაქის ცენტრში სწორი საათი, რომ მოქალაქემ დრო შეასწოროს... ესეთი რამ მოცილილი სათამაშოები ღმერთმა გვაშორა.

დრამ. გამგეობას აქტივში ჩაეთვლება ისიც, რომ პრესის წარმომადგენლებს შესაფერისი ადგილები მიუჩინა. წინედ ამ წყალობას მოკლებულნი იყვნენ. მართალია შეეძლოთ „თავისუფლად" დაჰსხდარიყვნენ საცა თავისუფალი ადგილი იყო, მაგრამ ვაი ასეთ თავისუფლებას!.. უკანასკნელ მოქმედებამდე ცალი თვალით სულ უკან იხედებოდნენ, აცა ბილეთიანი არავინ მოვიდეს ამ ადგილზე და უდროო დროს სირცხვილი არ მაჭამოსო..

ჯაფარ—ფაშა.

# უცხოეთი

**როგორ ეპირებიან ბრიუსელის სოციალისტები ვილჰელმის შეხვედრას.**

ბრიუსელსა და მის გამოფენას დიდი ბედნიერება მოელის. თვით გერმანიის იმპერატორი ეპირება მის ნახვას. მთავრობის ყველა უწყების დაწესებულებანი და მთავრობის მომხრენი დიდის ამბით ემზადებიან იმპერატორის შეხვედრისათვის. მისი მოსვლა არაფრად ეპიტნავებათ მხოლოდ ბრიუსელის სოციალისტებს, ამიტომ ესენიც მარტო იმაზე-და ჰფიქრობენ, თუ როგორ გაუმასპინძლდნენ „კაიზერს", ე. ი. გერმანიის იმპერატორს.

ბელგიის სოციალისტურ სინდიკატებისა და პოლიტიკურ ორგანიზაციების ფედერაციამ განსაკუთრებული კრება მოიწვია და ამ კრებას შეეკითხა, როგორ უნდა შევხვდეთ იმპერატორის ბრიუსელში ჩამოსვლასო? კრება ორ ბანაკად გაიყო. ერთნი ამბობდნენ: „როდესაც საიმპერატორო კორტეჟი გამოჩნდება, ჩვენც მის გვერდით საწინააღმდეგო მანიფესტაცია გავმართოთ და მით ვაგრძნობინოთ იმპერატორს, რომ ყველას არ უხარია მისი აქ მოსვლაო". მეორენი კი ამტკიცებდნენ: „ჩვენი მანიფესტაცია საკმაოდ დიდებული არ იქნება და ვაი თუ სოციალისტები მასხრად აგვიგდონო". ამ უკანასკნელთა აზრმა გაიმარჯვა და ამიტომ გადასწყვიტეს: იმპერატორის ჩამოსვლის წინა დღეს გამართონ დიდი მიტინგი, მოიწვიონ გამოჩენილი ორატორები, თუ შეიძლება გერმანელი—ორატორებიც და ნათლად გამოარკვიონ იმპერატორის დამოკიდებულება სოციალ-დემოკრატებთან და საზოგადოდ სოციალისტებთან. გარდა ამისა, გადასწყვიტეს დაბეჭდონ მრავალი ფურცლები, კარიკატურები ვილჰელმზე და ლექსები, სადაც მოყვანილი იქნება იმპერატორის მიერ სხვა და სხვა დროსა და ადგილას ნათქვამი სიტყვები. ყველა ეს ფურცლები და კარიკატურები უნდა გაავრცელონ ხალხში..

რადგანაც მოსალოდნელია, რომ იმპერატორის მოსვლის დღეს დიდი სავაჭრო ფირმები და მაღაზიები დაიკეტება და, მაშასადამე, იქ მომუშავე მუშები თავისუფალნი იქნებიან. ფედერაციის კომიტეტს ნება მიეცა თუ საჭიროდ და მოსახერხებლად დაინახავს, საწინააღმდეგო დემონსტრაციაც მოახდინოს და მით სავსებით გამოსთქვას თავისი გულის წყრომა სოციალისტების მიძულე იმპერატორის მიმართ.

# რუსეთი

**მაციევიჩის უკანასკნელი აფრენა**

(წერილი პეტერბურგიდან)

24 სექტემბერი რუსეთისათვის შავ და შემაძრწუნებელ დღედ უნდა ჩაითვალოს. ამ დღეს, როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებს დეპეშებიდანაც ეცოდინებათ, ავიატორი—კაპიტანი მაციევიჩი ფრენის დროს აპპარატიდან ჩამოვარდა და სასიკვდილოდ დაშავდა. ეს შემთხვევა ასე მოხდა:

ამ დღეს თავდაპირველად სხვა ავიატორებმა იფრინეს. მაციევიჩი-კი არსაიდან ჩანდა, თუმცა ხალხი მოუთმენლად მოელოდა თავის კოხტა აპპარატით. როგორც შემდეგ გამოირკვა, მაციევიჩს არასდომებია აფრენა, რადგან ქარისა შეჰშინებია.

ცოტა გვიან, ქარი მიწყნარდა, მაციევიჩი აფრინდა. აფრინდა თავისებურად კოხტად; ამას მოჰყვა ხალხის გრიალი და „ვაშა"-ს ძახილი. მან გასწია სულ მაღლა, უნდოდა სიმაღლის ჯილდო მიეღო. სწორედ ამ დროს ქარი ისევ ამოვარდა. მაციევიჩი ძალიან მაღლა იყო აფრენილი მაგრამ მაინც შეიძლებოდა შეუიარაღებელ თვალით ნახვა იმისა, თუ აპპარატი რა რიგ ირყეოდა, თუ რა რიგ იბრძოდნენ მაციევიჩი და მისი აპპარატი შეუბრალებელ სტიქიასთან. მაყურებლებს მოუსვენრობა დაეტყოთ. ვინც გონივრულის თვალით შეხედა საქმეს, მან წამავე იგრძნო, თუ რა ცუდი შედეგი უნდა მოჰყოლოდა მაციევიჩის აპპარატის ამ გვარად ქანაობას, რადგან მაციევიჩი სხვა დროს ყოველთვის სისწორით დაჰფრენდა. ცოტა კიდევ და შევნიშნეთ, რომ რაღაც შავი წერტილი მოსწყდა აპპარატს. აპპარატი გადმოეშვა, მიწაზე დაენარცხა და დაიმსხვრა. შავი წერტილი-კი აღმოჩნდა მაციევიჩი, რომელიც აპპარატის შებრუნების დროს გადმოვარდნილიყო. ხალხს, ზოგი ნაწილი, აპპარატისკენ გარბოდა, რადგან მაციევიჩი იქ ეგონათ, მაგრამ იგი ცოტა მოშორებით—ტბაში—დაეცა და უმალ სული განუტევა. ექიმების შემწეობით მას ერთი ძვალიც-კი აღარ შერჩენოდა სულ ერთიან დამტვრეულიყო. ასე დამთავრდა სიცოცხლე ამ მეტად სასარგებლო ადამიანისა, ხალხი მეტად დაადონა ამ შემთხვევამ.

მაციევიჩის გასვენებას აუარებელი ხალხი დაესწრო: ნევის პროსპექტი, ეს ვებერთელა ქუჩა, ხალხით იყო გაჭედილი. აქ დიდი და პატარა, კაცი და ქალი, მდიდარი და ღარიბი, სწავლული და უსწავლელი ყველა ერთგვარ პატივისცემას გამოხატავდა გმირ მაციევიჩისადმი. პროცესიაში წესიერებას სტუდენტები იცავდნენ. ყველას მოსწავლე ახალ-გაზდობა სჭარბობდა, რომელმაც ნათლად გამოხატა თავისი ზნე-აღმტაცი, იდეალური სულის კვეთება ამ შემთხვევაში.

რადგან მაციევიჩი ტომით უკრაინელი იყო, უკრაინელებმა დიდი მონაწილეობა მიიღეს მის დამარხვაში. ორასამდე გვირგვინი ამშვენებდა კუბოს და მათში უკრაინელ სტუდენტებისა და უკრაინელ თანამემამულეთაგან მიძღვნილი, რომლებმაც ლენტზე შემდეგის შინაარსის სიტყვები დააწერეს უკრაინულად: „ვინ უწყის რამდენი დაიხოცენით ბრძოლაში, რამდენმა განვლეთ დღენი მწარე ტანჯვაში, მაგრამ სიკვდილიც ულხინო იყო შეერჩეებიეთ თქვენ, მოესპეთ თქვენ, თავისუფალო სულო"! აუარებელი გვირგვინები იყო პეტერბურგის ზოგ უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებში მოსწავლე ხალგაზდებისაგან.

მაციევიჩის საპატივცემოდ ამ დღეს მისი ფოტოგრაფიული სურათი გამოსცეს და ყველგან ქუჩებში ჰყიდნენ. ქუჩებშივე ჰყიდნენ მუსიკოს ვომპეს მიერ ნოტებზე გადაღებულ სამგლოვიარო მარშს, ავტორის მიერვე მაციევიჩის ხსოვნისადმი მიძღვნილს პოეტ ნადსონის ლექსის შემდეგ ტექსტიდან: „Не говори, онъ умеръ"...

მაციევიჩის საფლავზე—ნევის ლავრაში—მცხოვანმა ლიტერატორმა ნ. მოროზოვმა გრძნობით აღსავსე ლექსი წაიკითხა. სიტყვა წარმოსთქვა აგრეთვე ლიტერატორმა კ. არაბაჟინმა და აღნიშნა, რა მნიშვნელობა ჰქონდა განსვენებულს რუსეთის ეხლანდელ ცხოვრებაში.

მაციევიჩის გასვენების დროს ნევის პროსპექტზე ყურადღება მიიპყრო ცაში აფრენილმა დირიჟაბლმა, რომელიც თავს დასტრიალებდა პროცესიას. თითქოს აკიატორებს სურდათ ამით ეთქვათ:—მაინც ვიფრენთ, მაინც შევებრძოლებით დაუნდობელ სტიქიონსო!..

ლ. გიგეჭკორი.


# განცხადებანი

**ექიმი ე. ხ. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში**

იღებს შინაგ., ქალ., ბავ. და ხიფილ ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ, ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (5.—194)

◀ მოგზაურთათვის ▶

# თავშესაფარი ბებია-ქალის თუხარელისა.

ოლგას ქ., ხაბებიუ ინსტიტ. პირდაპირ. მშობიარენი და ფეხმძიმე ქალები მიიღებიან ყოველ დროს დღეცა და ღამეც. არის საერთო საწოლი, ცალკე ოთახები და ოთახი საიდუმლოდ მომსვლელთათვის.

მიღება ქალის ავადმყოფობით სნეულთა, ძიძების გასინჯვა, ყვავილის აცრა და მასსაჟი ყოველ-დღე დილის 11-დან ნაშუადღევის 1 ს. (თ.—76—6)




მოითხოვეთ

# სწორე და მკვიდრი საათები!

ნუ გამოეკიდებით იაფ ფასიან საათებს. კარგ საათებს ყოველთვის თავისი ფასი აქვს. პარიზის ახალი რამ.

ორას მანეთიან ოქროს საათების მაგიერ გირჩევთ შეიძინოთ კაცის უხმო საათები სამი ხახურავით «ს ე ც ხ ი ა», რომლებიც სილამაზით და სიმკვიდრით ოქროს საათებს არ ჩამოუვარდებიან, რადგანაც 14% ოქრო აქვს შემოკრული. ამ საათების მექანიზმი ნამდვილი შვეიცარიულია, მუშაობს 15 ქვაზე და მეტად კარგი ხმა აქვს, დაქოქვა 40 საათში ერთხელ, უგასაღებოდ. საათები ნამდვილი ახალი ოქროსია და თავის კარგ თვისებათა გამო დაჯილდოვებულია ოქროს მედალით და სიკარგის ნიშნით". ფასი 5 მ 25 კ. 2 ც. 10 მ. 4 ც. 19 მ. 50 კ. ვინც გასინჯავს ამ საათებს დარწმუნდება, რომ ის 250 მან. ღირს. საათები იგზავნება წუთით წუთამდე გასწორებული 10 წლის პასუხის მგებლობით, ფას-დადებით და უბეოდ. გაგზავნა გადასახადით 60 კ. (ციმბირში 90 კ.).

| | |
|---|---|
| ПАРИЖЪ 7 PARIS | S. Strumfeld Rue Mirbel 2 bis. |

უფასოთ ვგზავნით ახალი ოქროს მშვენიერ მეწკვს ბრელოკით და ზამშის ბუდით. მიმართვა შეიძლება რუსულ ენაზე. დახურულ წერილზე უნდა დააკრათ 10 კ. მარკა, ხოლო ღია წერ. 4 კ. ადრესი გთხოვთ ამოსჭრათ და მაგრად დააკრათ კონვერტზე ან ღია ბარათზე.

(Моцль N 53647). (25—15—4)

# გაფრთხილება

რადგან სპერმინი-პელისა დღითი-დღე ვრცელდება, ამიტომ ამ ბოლო დროს აღმოჩნდნენ ისეთნი, რომელნიც ჩვენი წამლის ნაცვლად სხვას ჰყიდიან სხვა და სხვა სახელით (სპერმიტინის, სპერმინოლის, სპერმოლის, და სხვა სახელით). ხშირად ამ ყალბ სპერმინის გამყიდველნი თითონ სწერენ, ჩვენი წამალი სპერმინ-პელის „თანასწორია ან იმაზე უკეთესიო". ხშირად ამ ყალბ წამალს ამზადებენ ისეთნი, რომელთაც ექიმობასთან არაფერი საერთო არა აქვთ: სააფთიაქრო და საპარფიუმერო მაღაზიების პატრონნი და სხვანი. რა თქმა უნდა, ასეთ ყალბ წამლებს მნიშვნელობა არა აქვთ და წამლის გამვრცელებელნი რეკლამებში ჰბაძვენ სპერმინ-პელს და ხალხი შეცდომაში შეჰყავთ.

ამის გამო ჩვენ მოვალეებად ვრაცხთ, გავაფრთხილოთ ისინი, ვინც სპერმინით სარგებლობენ. მეცნიერთა და ექიმთა გამოკვლევით, სპერმინ-პელი სასარგებლო წამალია: ნევრასტენიის, სქესობრივ უძლურებისა, მოხუცობის უძლურების, ისტერიის, ნევრალგიის, სისხლ-ნაკლებობის, ჰლექის, სიფილისის, ვერცხლის წყლის წამლობით შედეგის, ქარების, გულის ავადმყოფობის (სიმსივნის, გულის სკლეროზის, გულის ფრიალის, კანკალის, მიოკარდიტის). არტერიოსკლეროზის, ალკოჰოლიზმის, ხერხემლის ტვინის დასუსტების, სიდამბლის, სისუსტის, დაქანცულობის და სხვა ავადმყოფობის დროს. ყველა მყიდველმა ყიდვის დროს ყურადღება უნდა მიაქციოს სახელს „სპერმინ-პელს" და ფორმას, რადგან სხვა პრეპარატები მხოლოდ ყალბია და მიმსგავსება სპერმინ-პელისა. ფლაკონი ღირს 3 მან. ლიტერატურა იგზავნება პირველ მოთხოვნილებისთანავე უფასოდ рганотерапевтическій институтъ.

Профессоръ Докторъ ПЕЛЬ и СЫНОВЬЯ.

Поставщики Двора Его Императорскаго Величества.—С.-Петербургъ.

(Метцль и К-о. № 88456). (8—23—4)